ვერსია

№23 (1713) 31 ივლისი — 6 აგვისტო ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ გახდა მოსამართლეობაზე მეოცნებე ბიჭი „კანონიერი ქურდი“

„მგლების ხროვაში მოვხვდი და რადგან არიფი ვიყავი, ყველა ჩემს დაჩაგვრას ცდილობდა“

ვინ არის, რა გზა გაიარა და გახდება თუ არა კამალა ჰარისი აშშ-ის პირველი ქალი პრეზიდენტი

„გგონიათ, ქოქოსის ხიდან ჩამოვარდით?“ – ფრაზა, რომელსაც ოპონენტები კამალას წინააღმდეგ იყენებენ

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

უკრაინაში მყოფი, ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების ორგანიზებითა და დაფინანსებით, ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა მზადდებოდა

სუს-ის საგანგებო განცხადება და პოლიტიკოსების შეფასებები

გუდაურთან მომხდარი ტრაგედიიდან ორი წელი გავიდა

გუდაურთან მომხდარი ტრაგედიიდან, რა დროსაც რვა ადამიანი, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მფრინავები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები და ექიმები დაიღუპნენ, ორი წელი გავიდა.

2022 წლის 29 ივლისს, სამაშველო ოპერაციის შესრულებისას, სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი დაჯილდოვდა სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე საერთაშორისო კონფერენციაში – „ყოვლისმომცველი მიდგომა დანაშაულის პრევენციისთვის“ – მონაწილეობდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში – „ყოვლისმომცველი მიდგომა დანაშაულის პრევენციისთვის“ – მონაწილეობდა.

კონფერენცია იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ გახსნა. კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე რატი იონათამიშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე გელა გელაძემ, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ნიკო თათულაშვილმა, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ლადო ხელაძემ.

ალექსანდრე დარახველიძემ სიტყვით გამოსვლისას დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობასა და აუცილებლობას გაუსვა ხაზი. აღნიშნა, რომ დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებთან მიმართებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. უწყება მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და დგამს შესაბამის ნაბიჯებს, როგორც საზოგადოების ცნობიერების, ისე, სამართალდამცველთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობას გაუსვა ხაზი და ამ მიმართულებით სამინისტროში მოქმედ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტზე ისაუბრა. ალექსანდრე დარახველიძემ კონფერენციის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკის შესახებ, რომელიც 2024 წლის 1 მაისიდან ახალი მანდატით განაგრძობს საქმიანობას და რომლის პრიორიტეტულ მიმართულებას დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სამართალწარმოების ხარისხის მონიტორინგი და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე კოორდინაციისა და რეფერირების სათანადო წესით განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ალექსანდრე დარახველიძემ ასევე ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო კამპანიებზე, რომლებიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით ხორციელდება.

იმერეთის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 2006 წელს დაბადებული ნ.შ. დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საჩხერის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2006 წელს დაბადებული გ.მ. ცივი იარაღით დაჭრა. დაჭრილი ახალგაზრდა საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ცაგერის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ს., ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ცაგერის მუნიციპალიტეტში, ძმას – 1988 წელს დაბადებულ ვ.ს.-ს, ნაჯახის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად, ვ.ს. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული ბ.ს. ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – ნაჯახი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული თ.წ., ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 24 ივლისს, თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ბრალდებულმა თ.წ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა 1995 წელს დაბადებულ ა.გ-ს და 1972 წელს დაბადებულ კ.ზ.-ს, რის შემდეგაც, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, თ.წ. დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

უკრაინაში მყოფი, ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების ორგანიზებითა და დაფინანსებით, ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა მზადდებოდა

სუს-ის საგანგებო განცხადება და პოლიტიკოსების შეფასებები

ნინო დოლიძე

რამდენიმე დღის წინ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს გამოძიება ტერორისტული აქტის მომზადებისა და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე. ამასთან, სუს-მა ღიად თქვა, რომ იგეგმებოდა „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის შესაძლო ლიკვიდაცია.

„მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება ტერორისტული აქტის მომზადებისა და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 18-323-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 315-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძიებს უკრაინაში მყოფი, საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებითა და დაფინანსებით, საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტებს. ხსენებული დანაშაულებრივი ქმედებების მიზანია, ქვეყანაში არეულობის მოწყობისა და ხელისუფლების დასუსტების ფონზე, დესტრუქციული ძალების მიერ, სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა.

სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლის ფარგლებში ხდება კონკრეტულ პირთა საგამოძიებო ორგანოში დაბარება, მათი მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით“, – ნათქვამია რამდენიმე დღის წინ, სუს-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ფაქტის გახმაურების შემდეგ, პოლიტიკურ სპექტრში კომენტარები გაკეთდა.

ასე, მაგალითად, უმრავლესობისა და პარტია ხალხის ძალის დეპუტატმა, გურამ მაჭარაშვილმა სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოსა და აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპზე თავდასხმები გაიხსენა და თქვა:

„ბუნებრივად ხდება დამაჯერებელი, რაც უსაფრთხოების სამსახურმა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებასთან დაკავშირებით გაავრცელა.

არაერთხელ გვინახავს უსაფრთხოების სამსახურის პრევენციული ხასიათის განცხადება, მათ შორის, მათი ქმედებები, რომლითაც, პრაქტიკულად, ქვეყანამ თავიდან აირიდა არაერთი რადიკალური პროცესი, რევოლუციური სცენარი და ტერორისტული აქტი. თან ეს, სხვათა შორის, პირდაპირ ეთერში ბევრჯერ დაუდასტურებიათ სემინარის ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ სემინარებს საქართველოში ახალგაზრდებისთვის და რევოლუციური სცენარების განვითარებისთვის ატარებდნენ.

ამიტომ, ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივად ხდება დამაჯერებელი, რაც უსაფრთხოების სამსახურმა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებასთან დაკავშირებით გაავრცელა. თუ მსოფლიოს თვალს გადავავლებთ, ბოლო ორ თვეში, სლოვაკეთის პრემიერი, შტატების ყოფილი პრეზიდენტი და კანდიდატი, ბიძინა ივანიშვილი. ეს სამი პოლიტიკური ფიგურა იბრძვის მშვიდობისთვის და ტრადიციული ცხოვრებისთვის, შესაბამისად, ბუნებრივად დამაჯერებელია ის, რაც სუს-მა თქვა“.

* * *

„ჩვენ ვნახეთ ტერორისტული აქტი, მკვლელობის მცდელობა სლოვაკეთში, ვნახეთ ტერორისტული აქტი, მკვლელობის მცდელობა აშშ-ში, ერთი და იგივე ხელწერა, ეს არის საერთაშორისო კონტექსტი და ეს ძალები მოქმედებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში“, – ეს განცხადება კი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ გადაცემა „იმედი LIVE“-ში, ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების საქმესთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

კითხვაზე, თუ რატომ შეიძლებოდა გამხდარიყო ბიძინა ივანიშვილი ამ დანაშაულებრივი განზრახვის სამიზნე, ირაკლი კობახიძემ უპასუხა, რომ იგი ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილური განვითარების გარანტია.

„ერთი მარტივი მიზეზის გამო – ის არის მთავარი გარანტი იმისა, რომ ამ ქვეყანაში არის მშვიდობა და ქვეყანა სტაბილურად ვითარდება. ის არის მთავარი გარანტი. აქედან გამომდინარე, ის რომ ამ გეგმების მთავარი ადრესატი იყო, აბსოლუტურად ლოგიკურია, აქ გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება კონტექსტს, აქ კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო სატელეფონო ზარი, რომელიც განხორციელდა რამდენიმე თვის წინ. ეს იყო ერთ-ერთი ევროკომისრის სატელეფონო ზარი, რომლის მეშვეობითაც მოგვაწოდეს კონკრეტული მესიჯი, რაც ამ ევროკომისარმა მოგვიანებით აღიარა თავად და განაცხადა, რომ ის საუბრობდა მკვლელობის რისკებზე, უბრალოდ, მან დააზუსტა, რომ პოლარიზაცია იქნებოდა ის, ვინც გვესროდა ტყვიას“, – განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმით, ვინაიდან ზარი უშუალოდ პრემიერ-მინისტრთან განხორციელდა, ალბათ, ამ მიზეზით დარჩა საზოგადოებას განცდა, რომ პირდაპირ პრემიერის მისამართით იყო გაფრთხილება.

„რეალურად, მრავლობითში იყო საუბარი და სიტყვები იყო ასე ნათქვამი – თქვენ უნდა იყოთ ფრთხილად, ნახეთ, რა დაემართა ფიცოს სლოვაკეთში. სიტყვა-სიტყვით ასე იყო ნათქვამი ეს ყველაფერი. მხოლობითი იყო, თუ მრავლობითი, ამას ვერ გაარჩევ ვერც ქართულში და ვერც ინგლისურში, ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა ასე იყო ნათქვამი რეალურად – ფრთხილად იყავით, ნახეთ, რა დაემართა ფიცოს სლოვაკეთში“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

აღსანიშნავია, რომ სუს-ში, ზემოაღნიშნულ თემაზე გამოკითხვები, რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს.

ვინ არის, რა გზა გაიარა და გახდება თუ არა კამალა ჰარისი აშშ-ის პირველი ქალი პრეზიდენტი

მართალია, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ დიდი ალბათობით, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატების კანდიდატი კამალა ჰარისი, პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად, დემოკრატიული პარტიის 19-22 აგვისტოს დაგეგმილ დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გახდება. ეს ყრილობა ჩიკაგოში გაიმართება, თუმცა, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ჰარისი, თავის გუნდთან ერთად, ბაიდენის განცხადების გამოქვეყნებიდან მეორე წუთს შეუდგა საქმეს – შემდეგ 10 საათში დაურეკა და პირადად ესაუბრა დემოკრატიული პარტიის 100 მაღალჩინოსანს.

„გგონიათ, ქოქოსის ხიდან ჩამოვარდით?" – ფრაზა, რომელსაც ოპონენტები კამალას წინააღმდეგ იყენებენ

სხვათა შორის, ბოლო დღეებია, სოციალურ ქსელებში აქტიურად ტრიალებს ჰარისის შარშანდელი ვიდეო, სადაც ის ამბობს – „გგონიათ, ქოქოსის ხიდან ჩამოვარდით?", შემდეგ კი საკუთარ ნათქვამზე იცინის. აქამდე, მისი მოწინააღმდეგები ამ ფრაზას, რომელიც ხშირად კონტექსტიდან იყო ამოჭრილი, ჰარისის წინააღმდეგ იყენებდნენ, მაგრამ როგორც გასულ დღეებში აღმოჩნდა, ახლა ეს ფრაზა კამალას სასარგებლოდ მუშაობს.

არადა, არცთუ დიდი ხნის წინ, ჯო ბაიდენის მსგავსად, კამალა ჰარისიც არ სარგებლობდა დიდი პოპულარობით. მეტიც, ტრამპი მასაც უსწრებდა გამოკითხვებში.

საერთოდ, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები თავისებური წესით ტარდება – იქ იმას არ აქვს მნიშვნელობა, ვინ აიღებს მეტ ხმას ჯამურად. მაგალითად, 2016 წელს, ჰილარი კლინტონმა დონალდ ტრამპზე მეტი ხმა მიიღო, მაგრამ მაინც წააგო. იგივე მოხდა 2000 წელს, უმცროსი ჯორჯ ბუშისა და ალ გორის შემთხვევაში.

ნაცვლად ამისა, არჩევნებში გამარჯვებული ისაა, ვინც მინიმუმ 270 ელექტორალურ ქულას მოაგროვებს, ეს კი ცალკეულ შტატებში გამარჯვებით ხდება – ყველა შტატს, მოსახლეობის პროპორციულად, გარკვეული რაოდენობის ქულა აქვს მინიჭებული.

ხშირად, შეიძლება გაიგოთ, როგორ ყოფენ აშშ-ის შტატებს სამ კატეგორიად – ლურჯ, წითელ და მერყევ შტატებად. „ლურჯ" შტატებში, როგორც წესი, დემოკრატები იგებენ, „წითლებში" – რესპუბლიკელები. ასეთ შტატებში სხვაობა ან ერთი, ან მეორე პარტიის სასარგებლოდ დიდია და მოწინააღმდეგე ბანაკს დიდი ხანია, არ გაუმარჯვია.

შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების ბედი, ფაქტობრივად, „მერყევ" შტატებში წყდება – სადაც სხვაობა მცირეა და ხან რესპუბლიკელი იგებს, ხან – დემოკრატი.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ჯო ბაიდენს კანდიდატურაზე უარის თქმა მოუწია, ის იყო, რომ ამ შტატებში დონალდ ტრამპმა გაუსწრო.

რა შანსები აქვს ასეთ შტატებში კამალა ჰარისს?

სოციოლოგებს დემოკრატებისთვის ერთი კარგი და ერთი ცუდი ამბავი აქვთ – ემერსონის კოლეჯის კვლევის თანახმად, რომელიც 22-23 ივლისს, ბაიდენის კანდიდატურის მოხსნის შემდეგ ჩატარდა, მერყევი შტატების უმეტესობაში დონალდ ტრამპს კამალა ჰარისიც ჩამორჩება.

კარგი ამბავი კი მისთვის ისაა, რომ ბაიდენთან შედარებით, სხვაობა შემცირებულია და უმეტესწილად, მინიმალური – ჯორჯიასა და პენსილვანიაში ტრამპი ჰარისს 2%-ით უსწრებს, მიჩიგანში – 1%-ით, ვისკონსინში კი ორივე კანდიდატი თანაბრადაა.

ამავდროულად, ყველა ამ შტატში გადაუწყვეტელი ამომრჩევლების რაოდენობას კვლავაც შეუძლია, არჩევნების ბედი შეცვალოს.

„მცირე სხვაობა იქნებოდა, ბაიდენი რომ დარჩენილიყო და მცირე სხვაობა იქნება, თუ ჰარისი იქნება ტრამპის ოპონენტი, – ამბობს „რადიო თავისუფლებასთან" ტომას გიფტი, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორი, – **საბოლოოდ კი არჩევნების ბედს გადაწყვეტს ხმების მცირე წილი რამდენიმე მერყევ შტატში – ოჰაიო, პენსილვანია, მიჩიგანი, ვისკონსინი, ჯორჯია, არიზონა – რომელთაც სულ ახსენებენ".**

კამალა ჰარისის სასარგებლოდ შეიძლება იმოქმედოს იმანაც, რომ ამერიკელების ნაწილმა მის შესახებ ბევრი არაფერი იციან – ვიცე-პრეზიდენტობიდან ოთხი წლის თავზე, ჯერ კიდევ ბევრს ეშლება, სად უნდა დასვას მახვილი მისი სახელის წარმოთქმისას. ჰარისს ნოემბრამდე აქვს დრო, ესეც სათავისოდ გამოიყენოს.

ვინ იქნება კამალა ჰარისის მეწყვილე

კამალა ჰარისის მიერ ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატის არჩევა კამპანიის დარჩენილი სამი თვის ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

ჰანს ნოელი, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი ამბობს, რომ მეწყვილის არჩევისას, დემოკრატები კამალა ჰარისის პერსონის „დაბალანსებას" ეცდებიან:

„ვფიქრობ, იარსებებს გარკვეული წნეხი. დემოკრატები იფიქრებენ – კარგი, ჰარისი ფერადკანიანი ქალია და ალბათ, ამის დაბალანსება უნდა გვინდოდეს ტრადიციული, თეთრკანიანი კაცი კანდიდატით", – უთხრა მან „რადიო თავისუფლებას".

კიდევ ერთი ფაქტორი, რასაც, დიდი ალბათობით, კამალა ჰარისი მეწყვილის არჩევისას გაითვალისწინებს, ზემოხსენებული მერყევი შტატებია – წესით, უპირატესობა ექნება კანდიდატს, რომელიც სწორედ ასეთ შტატს წარმოადგენს.

ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით, ამერიკული მედია რამდენიმე ვარიანტს განიხილავს:

ჯოშ შაპირო, პენსილვანიიდან – მერყევი შტატის პოპულარული, ახალგაზრდა გუბერნატორი. 2020 წელს, პენსილვანიაში ბაიდენმა მოიგო, მაგრამ ახლა, გამოკითხვებში, ტრამპია წინ. თუმცა შეიძლება, შაპიროს ხელი იმან შეუშალოს, რომ ებრაელია – დემოკრატებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ისრაელისადმი კრიტიკულად განწყობილ ახალგაზრდა ამომრჩევლებს გაანაწყენებენ.

არიზონის სენატორი, მარკ კელი – შაპიროს მსგავსად, ისიც მნიშვნელოვანი, მერყევი შტატიდანაა, სადაც 2020 წელს, ბაიდენმა სულ მცირე სხვაობით მოიგო და გამოკითხვებში, ახლა, ტრამპი ლიდერობს. ყოფილი ასტრონავტი და აშშ-ის ფლოტის კაპიტანი კელი დაქორწინებულია კონგრესმენ გები გიფორდსზე, რომელიც 2011 წელს, მკვლელობის მცდელობისას მძიმედ დაშავდა.

ენდი ბეშირი, კენტუკიდან – მყარი „წითელი" შტატის ახალგაზრდა დემოკრატი გუბერნატორი. ბეშირი ისეთ პოლიტიკოსადაა მიჩნეული, ვინც უპარტიო ამომრჩევლებისა და ზომიერი რესპუბლიკელების ხმები შეიძლება მოიზიდოს. მას თავდაპირველად კამალა ჰარისის სავარაუდო მეტოქედაც განიხილავდნენ, თუმცა 22 ივლისს, მას საჯაროდ დაუჭირა მხარი.

ჩრდილოეთ კაროლინის გუბერნატორი, როი კუპერი – კიდევ ერთი პოპულარული დემოკრატი მნიშვნელოვანი, მერყევი შტატიდან, სადაც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში, რესპუბლიკელი კანდიდატი იგებს. ბეშირის მსგავსად, კუპერი დემოკრატებს შეიძლება დაეხმაროს ზომიერი რესპუბლიკელებისა და უპარტიო ამომრჩევლების მოზიდვაში.

ვინ არის კამალა ჰარისი

კამალა ჰარისი ბევრ რამეში იყო პირველი – ის აშშ-ის ისტორიაში პირველი ქალი ვიცე-პრეზიდენტია ისევე, როგორც პირველი შავკანიანი და აზიური წარმოშობის ვიცე-პრეზიდენტი, იქამდე კი კალიფორნიის პირველი ქალი გენერალური პროკურორი იყო.

კამალა დევი ჰარისი 1964 წლის 20 ოქტომბერს დაიბადა კალიფორნიის ქალაქ ოკლენდში, სან-ფრანცისკოს ყურეში.

დედამისი, შმიალა გოპალანი, 19 წლის იყო, როცა ინდოეთიდან აშშ-ში წავიდა ოკლენდის მეზობელი ქალაქის, ბერკლის პრესტიჟულ უნივერსიტეტში, ბიოლოგიის სასწავლად.

მამამისი, დონალდ ჰარისი, 1961 წელს გადავიდა იამაიკიდან აშშ-ში და ბერკლის უნივერსიტეტში ეკონომიკას სწავლობდა. პოსტკეინზიანელი, მარქსისტი ეკონომისტი,

დასასრული მე-5 გვერდზე

ვინ არის, რა გზა გაიარა და გახდება თუ არა კამალა ჰარისი აშშ-ის პირველი ქალი პრეზიდენტი

მე-4 გვერდიდან

მოგვიანებით სტენფორდში, აშშ-ის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში, პროფესორი გახდა.

კამალა ჰარისი შვიდი წლის იყო, როცა მისი მშობლები გაშორდნენ და დედასა და დასთან ერთად, კანადაში გადავიდა საცხოვრებლად. მოგვიანებით, აშშ-ში დაბრუნდა და დაამთავრა ჯერ ჰოვარდის უნივერსიტეტი – პოლიტიკის მეცნიერებისა და ეკონომიკის მიმართულებით, შემდეგ კი კალიფორნიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა.

2004 წელს, კამალა ჰარისი სან-ფრანცისკოს ოლქის პროკურორად აირჩიეს. თანამდებობაზე გატარებული შვიდი წლის განმავლობაში, მის ოლქში საბრალდებო განაჩენების რაოდენობა გაიზარდა, რის გამოც მკაცრი პროკურორის იმიჯი მოირგო.

ახლა კამალა ჰარისი ცდილობს, დონალდ ტრამპთან დუელში ეს საკუთარ უპირატესობად აქციოს. ტრამპის სასამართლო სკანდალების ფონზე, ჰარისი ამბობს, რომ როგორც ყოფილმა პროკურორმა, კარგად იცის, ტრამპის სახით, ვისთან აქვს საქმე.

2010 წელს, ჰარისმა მცირე სხვაობით მოიგო კალიფორნიის გენერალური პროკურორის არჩევნები, ოთხი წლის შემდეგ კი უკვე დამაჯერებელი უპირატესობით გაიმარჯვა.

შემდეგი ნაბიჯი, რამაც ეროვნული მასშტაბის ცნობადობა მოუტანა, აშშ-ის სენატი იყო.

უკვე ათწლეულებია, კალიფორნია „ლურჯ“ შტატად ითვლება – დემოკრატებს ქვეყნის ყველაზე დასახლებულ შტატში იმხელა უპირატესობა აქვთ, რომ სენატის არჩევნებში კამალა ჰარისის მთავარი ოპონენტი არა რესპუბლიკელი, არამედ, დემოკრატი იყო, რომელიც მარტივად დაამარცხა.

ამით ის აშშ-ის ისტორიაში მხოლოდ მეორე შავკანიანი სენატორი გახდა.

სენატში მან არაერთხელ გამოიჩინა თავი ტრამპის მიერ დასახელებული ამა თუ იმ მაღალჩინოსნის მკაცრი, პროკურორისებრი დაკითხვებით, მათ შორის, გენერალური პროკურორობისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების.

სენატში შესვლიდან ორ წელიწადში კი, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პრაიმერიზში კენჭისყრაც გადაწყვიტა, თუმცა წარუმატებლად – მან საკუთარი კანდიდატურა ჯერ კიდევ დეკემბერში, პრაიმერიზის დაწყებამდე მოხსნა და ჯო ბაიდენს დაუჭირა მხარი.

როგორც აღმოჩნდა, არც ბაიდენი დარჩენია ვალში.

მეორე ჯენტლმენი

პირველი ქალი ვიცე-პრეზიდენტი იმასაც ნიშნავს, რომ აშშ-ის ისტორიაში პირველად. „მეორე ლედის“ ნაცვლად, „მეორე ჯენტლმენი“ ჰყავს. კამალა ჰარისის ქმარი 59 წლის ებრაული წარმოშობის იურისტი, დაგლას ემჰოფია.

კამალა ჰარისმა და დაგლას ემჰოფმა 2014 წელს იქორწინეს, სანტა მონიკაში. მათ საერთო შვილი არ ჰყავთ, თუმცა ერთად გაზარდეს ემჰოფის ორი შვილი მისი წინა ქორწინებიდან, რომლებიც დედინაცვალს „მამალას“ (Momala; Mom – ამერიკულ ინგლისურში, დედას ნიშნავს) ეძახიან.

ამერიკული მედია იმასაც წერს, რომ კამალა ჰარისს მეგობრული ურთიერთობა აქვს დაგ ემჰოფის პირველ ცოლთან და შვილების დედასთან, პროდიუსერ კერსტინ ემჰოფთან, რომელმაც 23 ივლისს, X-ზე მხარი დაუჭირა ჰარისის კანდიდატურას.

სანამ მისი მეუღლე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი გახდებოდა, დაგლას ემჰოფი ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა და წარმატებული იურისტი იყო. თუმცა მას შემდეგ, რაც კამალა ჰარისი ქვეყნის მეორე პირი გახდა, ემჰოფი ცოლთან ერთად გადავიდა ვაშინგტონში და აშშ-ის მეორე სანაპიროზე სამსახური მიატოვა.

„პირველი კაცი ვარ, ვისაც „მეორე ჯენტლმენობა“ წილად ხვდა, მაგრამ ნამდვილად არ მსურს, ბოლო ვიყო“, – ამბობს დაგლას ემჰოფი, თეთრი სახლის ოფიციალურ ბიოგრაფიაში. ნოემბერში გავიგებთ, იქნება თუ არა ის აშშ-ის „პირველი ჯენტლმენი“.

როგორი ვიცე-პრეზიდენტია კამალა ჰარისი

ვიცე-პრეზიდენტობისას, ბაიდენმა ჰარისს მიანდო დიპლომატიური ძალისხმევა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, რომლის მიზანიც აშშ-ის სამხრეთ საზღვარზე საემიგრაციო ტალღის შემცირება იყო.

საზღვარი და ემიგრაცია მთავარი საკითხია, რაზეც ტრამპის კამპანია ჰარისს თავს ესხმის. ერთი მხრივ, ჰარისი, როგორც ორი ემიგრანტის შვილი და ლიბერალური შტატის, კალიფორნიის წარმომადგენელი, ემიგრაციისადმი მკაცრი დამოკიდებულებით არ გამოირჩევა. მეორე მხრივ კი, ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ, შემსუბუქდა ტრამპის დროს მიღებული საემიგრაციო შეზღუდვები, რამაც სამხრეთის საზღვარზე, აშშ-ში შესვლის მსურველთა ნაკადი გაზარდა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კამალა ჰარისმა ვიცე-პრეზიდენტობისას ყურადღება გაამახვილა, აბორტის უფლება იყო.

2022 წელს, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, რომელიც ტრამპის დროს კონსერვატორი მოსამართლეებით შეივსო, გააუქმა დადგენილება, რომელიც ყველა შტატში უზრუნველყოფდა აბორტის უფლებას. 2022 წლის შუალედური არჩევნებისას, დემოკრატებმა ეს საკითხი კარგად გამოიყენეს – კამალა ჰარისმა წინასაარჩევნო პერიოდში, დემოკრატი კანდიდატების მხარდასაჭერად ქვეყანა მოიარა და მოსახლეობას აბორტის უფლების დაცვას დაჰპირდა.

მიიჩნევა, რომ აბორტის თემა დემოკრატებს 2022 წლის შუალედურ არჩევნებში „წითელი ტალღის“ ანუ რესპუბლიკელების დამაჯერებელი გამარჯვების შეკავებაში დაეხმარა და, შედეგად, მათ სენატის კონტროლი შეინარჩუნეს.

ვიცე-პრეზიდენტობისას, კამალა ჰარისი საგარეო პოლიტიკის კუთხითაც გააქტიურდა და გამოცდილების დაგროვება სცადა – ათეულობით ვიზიტისას, ის 150-ზე მეტ ლიდერს შეხვდა, ივნისში კი სწორედ ის წარმოადგენდა აშშ-ს, შვეიცარიაში გამართულ უკრაინის მშვიდობის ფორუმზე.

რას უნდა ველოდოთ ჰარისის საგარეო პოლიტიკისგან

ბუნებრივია, აშშ-ის გარეთ, პირველ ყოვლისა, ეს კითხვა ისმის. ექსპერტები კი თანხმდებიან, რომ კამალა ჰარისი, ამ თვალსაზრისით, წინამორბედის კურსს გააგრძელებს.

„პირველ ყოვლისა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის უზარმაზარი შედეგი კვლავ იქნება საგარეო პოლიტიკის წამყვანი საკითხი. ვიცე-პრეზიდენტი ჰარისი აშკარად იყო ტრანსატლანტიკური ალიანსისა და კონკრეტულად, ნატო-ს ძლიერი დამცველი“, – ამბობს „რადიო თავისუფლებასთან“ ესტერ ბრიმერი, საგარეო ურთიერთობათა საბჭოს უფროსი მკვლევარი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი.

ამ მხრივ, ძნელი სათქმელია, რა შეიძლება მოხდეს დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემთხვევაში. თებერვალში, წინასაარჩევნო გამოსვლისას, დონალდ ტრამპი თავად მოჰყვა, როგორ უთხრა ნატო-ს ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის ლიდერს, რომ რუსული აგრესიის შემთხვევაში, აშშ მათ არ დაეხმარებოდა.

„არა, არ დაგიცავთ, მეტიც, რუსებს წავახალისებდი, რომ თქვენთვის ის ექნათ, რა ჯანდაბაც მოუნდებოდათ-მეთქი“, – გაიხსენა მაშინ დონალდ ტრამპმა.

ნატო-ს წესდების მეხუთე მუხლი, რაც ალიანსის ნებისმიერ წევრზე თავდასხმას ყველა წევრზე თავდასხმად მოიაზრებს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლური უსაფრთხოების არქიტექტურის საფუძველია. დონალდ ტრამპი კი მის საჯაროდ ეჭვქვეშ დაყენებას არ ერიდება. თუმცა, ზოგიერთი რესპუბლიკელი ტრამპის ასეთ ხისტ გამონათქვამებს იმით ხსნის, რომ მას სურს, ევროპელებმა საკუთარ თავდაცვაზე მეტი დახარჯონ.

კამალა ჰარისის საგარეო პოლიტიკის კვალიფიკაციაზე საუბრისას, ესტერ ბრიმერი აღნიშნავს, რომ გასული სამი წლის განმავლობაში, აშშ-ს სწორედ ვიცე-პრეზიდენტი წარმოადგენდა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, ბრიმერის სიტყვებით, საგარეო პოლიტიკის „ოსკარებზე“:

„გასაკვირი არაა, რომ თუ შევხედავთ, რას ამბობდა წლევანდელ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, მან ხაზი გაუსვა ნატო-ს ალიანსის მნიშვნელობას, უკრაინის მიმართ აშშ-ის მხარდაჭერის სიმყარეს და ამ გამოწვევის გადალახვის მნიშვნელობას საერთაშორისო სისტემისთვის“, – უთხრა მან „რადიო თავისუფლებას“.

ჯიმ ტაუნსენდი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი და ახალი ამერიკული უსაფრთხოების ცენტრის უფროსი მკვლევარი ფიქრობს, რომ კამალა ჰარისი ჩინეთის მიმართაც ბაიდენის პოლიტიკას გააგრძელებს:

„ის ჩინეთის მიმართ „ქორული“ პოზიციით არ გამოირჩევა, მაგრამ ჰილარი კლინტონივით „გადატვირთვას“ არ გამოაცხადებს, როგორც ამ უკანასკნელმა რუსეთთან მიმართებით გააკეთა 2009 წელს. ალბათ, მინიმუმ გაისად, მისი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ იმის ექო იქნება, რაც ბაიდენის მრჩევლებისგან ისმის, რაც ბაიდენის პოზიციები იყო და, სხვათა შორის, არ განსხვავდებოდა ტრამპის პოზიციებისგან.

იქამდე, სანამ ისეთი რამე მოხდება, რაც მოვლენებს დააჩქარებს. შეიძლება, ჩინეთმა ტაივანთან დაკავშირებით რამე ნაბიჯი გადადგას, შეიძლება, ჩინეთი რუსეთს მეტად დაუახლოვდეს უკრაინის ომის კუთხით და სამხედრო შეიარაღების გადაცემა დაიწყოს, ან რამე სხვა მოხდეს ისეთი, რაც სიტუაციას შემოაბრუნებს, კამალას კი ამასთან გამკლავება მოუწევს. ასეთ შემთხვევაში, ჰარისს მოუწევს, საკუთარი პოლიტიკა შეიმუშაოს“, – ამბობს ჯიმ ტაუნსენდი, „რადიო თავისუფლებასთან“.

მომზადებულია

„რადიო თავისუფლების“ მასალების მიხედვით

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

მაკა რუხაძე

„ვერსია“ განაგრძობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების განმეორებას, რომლებიც მიმდინარე წელს, უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადაგზავნა. ამჯერად გთავაზობთ აფხაზეთის ავტონოჯმიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების აუდიტს, რომელიც თავიდანვე საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა. აუდიტის პროცესში გაირკვა, რომ **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ, მთელი რიგი შესყიდვების შესახებ დოკუმენტაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში იყო გადაგზავნილი. შესაბამისად, ეს კონკრეტული შესყიდვები აუდიტორებმა ვეღარ შეამოწმეს. სკანდალური დასკვნა ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს.**

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

დავიწყოთ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში აღმოჩენილი დარღვევებით. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს უნდა ახორციელებდეს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული კანონის მოთხოვნები (შესაფერისი ინფორმაციის შეგროვება, სათანადო შესწავლა და ანალიზი), რათა სახელმწიფო შესყიდვები უზრუნველჰყოს რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

„რვა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის საჭიროებები არ განსაზღვრულა რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე. საჭირო შესყიდვების სწორად და რაციონალურად დასაგეგმად არ იყო ჩამოყალიბებული მართლზომიერი პრაქტიკა. აღნიშნულ პირობებში, აუდიტის ობიექტებზე სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმებს სხვადასხვა დროს, 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 309 და 354 ახალი პოზიცია დაემატა შესყიდვის ახალი ობიექტის სახით, რაც თანხობრივად 874 040 ლარს და 1 118 100 ლარს შეადგენდა, თუმცა შესყიდვის გეგმის თავდაპირველ **ვერსიაში არ იყო გათვალისწინებული“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ აუდიტის ობიექტებზე შესყიდვების სამსახურების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენის საკითხისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო, იქმნებოდა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები. გარდა ამისა, აუდიტის ობიექტებში შესყიდვების გეგმებთან მიმართებით, ჯამში 90 030 ლარით გადაჭარბებული საკასო შესრულება დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო შესყიდვების გეგმის მართვის პროცესში არსებული არასრულყოფილი კონტროლის მექანიზმებით და სახაზინო გადარიცხვების დროს დაშვებული შეცდომებით.

დარღვევები ბაზრის კვლევაში

კანონის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია მოქმედი კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, ვალდებული იყო ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებდა შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შედგენისას.

„ორ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, ან ჩატარებული კვლევა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული გარემოება არ ემსახურებოდა პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. პროცესი არ იყო ფორმალიზებული და ვერ დგინდებოდა, რომელი მეთოდით ხდებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა. **2021 წლის 6 დეკემბერს, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახის 11 642 ლარის სამშენებლო მასალების შესასყიდად. დადგინდა, რომ სავარაუდო ღირებულება დასაბუთების გარეშე განისაზღვრა ბაზრის კვლევის ეტაპზე მოწოდებულ მინიმალურ ფასებზე 1 400 ლარით მეტი ღირებულებით. აღნიშნულით არ იქნა დაცული ეკონომიურობის პრინციპი“.**

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, 2021 წლის 12 თებერვალს, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბალანსზე რიცხული 9 ერთეული ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 983 388 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, მათ შორის, მინიმალური შეთავაზების ღირებულება 269 094 ლარი იყო, რაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 714 294 ლარით ანუ 72%-ით ნაკლები გახლდათ.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ობიექტებზე შესყიდვების სამსახურის

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

მე-6 გვერდიდან

მიერ საქმისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები იქმნებოდა.

ხარვეზები და ინტერესთა კონფლიქტი ტენდერებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2020 წლის 7 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. სატენდერო პირობებში წარმოდგენილი მოთხოვნის მიხედვით, პრეტენდენტს, მინიმუმ, ერთი სერვის-ცენტრი მაინც უნდა ჰქონოდა 5 კმ-ის რადიუსში.

„ამ შეზღუდვის გამო, ტენდერში მონაწილეობა არავის არ მიუღია, შესაბამისად, ტენდერი არ შედგა. მოგვიანებით, როდესაც ტენდერის ხელმეორედ გამოცხადებისას, რადიუსად 7 კილომეტრი განისაზღვრა, ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა. 2021 წელს გამოცხადდა ტენდერი იმავე მომსახურებაზე, სადაც მდებარეობის დაშორების შეზღუდვა არ იყო მითითებული. შედეგად, ტენდერში ხუთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და შესყიდვა განხორციელდა კონკურენტულ პირობებში. შესაბამისად, სატენდერო პირობების არარაციონალურად ჩამოყალიბებამ გამოიწვია ის, რომ ერთ შემთხვევაში, ტენდერი არ შედგა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ტენდერი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში“.

გარდა ამისა, უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 20 აგვისტოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის ძრავის შეკეთებაზე. ამ ტენდერშიც მითითებული იყო მოთხოვნა, შემსყიდველის 7 კმ-ის რადიუსში განლაგებაზე. მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრედენდენტმა, შესაბამისად, ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში.

2021 წლის 12 აგვისტოს, განათლების სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი მობილური აპლიკაციის – „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის“ შესყიდვაზე. ტენდერი შეწყდა სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენის გამო. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი და ვერ განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი პუნქტის სწორი ფორმულირება.

„2020 წლის 26 ნოემბერს, სსიპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბეჭდვით მომსახურებაზე, რომელიც სატენდერო პირობების არასწორად წარმოდგენის შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით შეწყდა. კონკრეტულად, სატენდერო კომისიის წევრმა სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო მოთხოვნა გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში დაშვებული ტექნიკური შეცდომის შესახებ. კერძოდ, წინადადების მიღება 2021 წლის 4 იანვარს არ შეესაბამებოდა რეალობას, შესაბამისად, „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ სახელმწიფო შესყიდვა ვერ განხორციელდებოდა აღნიშნული თარიღის პირობებში“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ განათლების სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 30 შემთხვევიდან, 26 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ განათლების სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო უშუალოდ შესყიდვის პროცესში მონაწილე პირების ხელმოწერები არ ფიქსირდებოდა.

„კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეულ 32 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო სააგენტოს დირექტორის ხელმოწერა, ხოლო შესყიდვების კოორდინატორის ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

დევნილთა სამინისტროს მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 60 შემთხვევიდან, 36 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო შესყიდვების მიმართულებით დასაქმებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სატენდერო პირობების განსაზღვრაში დაშვებული შეუსაბამობების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. მოქმედი კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობითა და არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, შეიქმნა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რისკები.

ხარვეზები შესრულებული სამუშაოს ხარისხში

სახელმწიფო აუდიტის მიხედვით ირკვევა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, თუმცა შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით. 11 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც უკავშირდებოდა სამუშაოების უხარისხოდ და არასრულად შესრულებას. ამ ობიექტებზე, 4 100 ლარამდე სამუშაოების შესრულება არ დადასტურდა.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სსიპ „დევნილთა მომსახურების სააგენტომ“ მხოლოდ სამუშაოების დასრულების შემდგომ მიმართა სსიპ „სახელმწიფო

დასასრული მე-8 გვერდზე

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

მე-7 გვერდიდან

შესყიდვების სააგენტოს“ ფაქტობრივად განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის შესათანხმებლად. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირდა არსებითი სახის ხარვეზები და დამატებითი შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება, შესაბამისი დანართის გარეშე, გაიზარდა 19 000 ლარით, 217 000 ლარამდე.

„სადეზინფექციო მომსახურების ჩატარების მიმდინარეობისას, ობიექტების სადეზინფექციო სამუშაოების პარალელურად ახორციელებდნენ ფართების აზომვებს, თუმცა აზომვების დამადასტურებელი აქტები წარდგენილი არ ყოფილა. სამუშაოების ჩატარება არ დადასტურებულა აქტით – შესრულებულ სამუშაოებზე ფორმის მიხედვით, რაც მიანიშნებს, რომ არ შესრულდა სატენდერო დოკუმენტაციის პირობები. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, არასრულყოფილად შედგენილი აქტების, მითითებული ვადების გათვალისწინებით და ჩატარებული სამუშაოების საეჭვო მოცულობებიდან გამომდინარე, ფიქსირდება 107 750 ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკები“.

პროკურატურაში გადაგზავნილი მასალები

ახლა, ვნახოთ, კონკრეტულად რა მასალებია გადაგზავნილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და კონკრეტულად რას იძიებს პროკურატურა.

2021 წელს, სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოში“ განხორციელდა სულ 139 სახელმწიფო შესყიდვა და გაიხარჯა 469 702 ლარი. კერძოდ, ათი კონსოლიდირებული შესყიდვა – 20 137 ლარის საკასო ხარჯით; სამი ელექტრონული ტენდერი – 178 281 ლარის საკასო ხარჯით; 126 გამარტივებული შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკება) – 271 283 ლარის საკასო ხარჯით.

„აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში (2 ელექტრონული ტენდერი და 39 გამარტივებული შესყიდვა) მიმწოდებლებზე გადარიცხულმა თანხამ, ჯამში, 314 971 ლარი შეადგინა, რაც სულ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული თანხის 67.1%-ია. ამ თანხიდან ფიქსირდება: მატერიალური ფასეულობების დანაკლისი – 156 257 ლარი; შეუსრულებელი მომსახურება და სამუშაოები – 25 798 ლარი; დასაზუსტებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობა (მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის მიერ დანიშნული ექსპერტიზა) – 132 916 ლარი“.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფინანსთა სამინისტროს მიერ (7 წერილით), უკვე გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ორ შემთხვევაში – გამოტანილია საქართველოს გენერალური პროკურატურის დადგენილება, სააგენტოს დაზარალებულად ცნობის შესახებ. აუდიტის პროცესში არ იყო შესაძლებელი საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების გამოსატანად.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.

სამართალი

№23 31 ივლისი 2024 წ

როგორ გახდა მოსამართლეობაზე მეოცნებე ბიჭი „კანონიერი ქურდი“

„მგლების ხროვაში მოვხვდი და რადგან არიფი ვიყავი, ყველა ჩემს დაჩაგვრას ცდილობდა“

ბათო ჯაფარიძე

21-ე საუკუნეში „კანონიერ ქურდობაზე“ რომ ფიქრობს ვინმე, უკვე პრობლემაა. როცა ამდენი შესაძლებლობაა, როცა კარგი სწავლის შემთხვევაში, ძალიან დიდია შანსი, რომ ცხოვრებაში უამრავ რაღაცას მიაღწიო, უამრავი რამ ნახო, „კანონიერ ქურდობაზე“ ფიქრი, უბრალოდ, „ტეხავს“. ამის მიუხედავად, ის თითქოს რომანტიზმი, რომელიც ამ გზას ახლავს, ბევს ხიბლავს. რეალურად კი, რომანტიზმი და „კარგი პონტი“ არ არსებობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ადამიანები, რომლებსაც დღეს „კანონიერი ქურდები“ ჰქვიათ, სამშობლოშიც კი ვერ ჩამოდიან, რადგან ჩვენთან ეს „სტატუსი“ პატიმრობით და პატიმრობის მოხდის შემდეგ, ქვეყნიდან გაძევებით ისჯება.

ისე, ამ კანონს ერთი დეტალი აქვს, რომელიც არ გვესმის – როცა „კანონიერი ქურდი“ სასჯელს მოიხდის და ციხიდან გამოდის, სტატუსს ხომ არ თმობს და ხომ ისევ, ზედ ციხის კართან გაიმეორებს, რომ ქურდია? მაშინ, რატომ უშვებენ? თუმცა, ამას ალბათ კვალიფიციური იურისტები ახსნიან, ჩვენ კი...

გასულ კვირას, „კანონიერი ქურდების“ რიგს კიდევ ერთი მიემატა. რა თქმა უნდა, სახელისა და გვარის დასახელებას არ ვაპირებთ, მაგრამ თავად მისი ისტორიაა იმდენად საინტერესო, რომ უნდა მოგიყვეთ. ეს ისტორია მან თავად მომითხრო მაშინ, როცა ჯერ „მომავალი“ იყო და ისიც ახსნა, რატომ აირჩია ეს გზა და რომ არა ერთი სრულიად უწყინარი შემთხვევა, „კანონიერი ქურდობაზე“ არასოდეს იფიქრებდა.

„15 წლის ვიყავი, როცა სკოლიდან შინ ვბრუნდებოდი. ძალიან, ძალიან კარგად ვსწავლობდი, იურიდიულზე მინდოდა ჩაბარება, ვფიქრობდი, მოსამართლე გამოვალ-მეთქი და ეს იყო ჩემი ოცნებაც და მიზანი. გზაზე მანქანამ გამიჩერა, ჩემი უბნის ბიჭები ისხდნენ, ჩემი მეზობლები, დაჯექი, სახლამდე მიგიყვანთო. რა თქმა უნდა, დავჯექი, სახლამდე ნახევარ კილომეტრზე მეტი მიკლდა და თან ქარი ქროდა, ცივი ქარი. ასი მეტრიც არ გვქონდა გავლილი, როცა წინ და უკან საპატრულო პოლიციის მანქანები გადაგვიდგნენ, მერე პატარა „მარშუტკაც“ გაჩერდა, საიდანაც 6 ავტომატიანი და ნიღბიანი კაცი გადმოხტა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, თუმცა ბევრი ფიქრის დრო არც მქონდა, მანქანიდან გადმოგვყარეს და ასფალტზე დაგვყარეს. მე არ დამინახავს, როგორ ამოიღეს საბარგულიდან ორი ავტომატი და ერთი „აბრეზი“, მერე, როდესაც წამომაყენეს, დავინახე, რაც იყო. იქიდან წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაგვიყვანეს, გზაზე გვარიანად მირტყეს, მეორე დღეს კი, ჩემთან ადვოკატი შემოვიდა...

სწორედ ადვოკატისგან გავიგე, რომ ბიჭებს და მე ყაჩაღობის მომზადებას გვედავებოდნენ. ჰო, ყაჩაღობას კი არა, მის მომზადებას ანუ თურმე, საყაჩაღოდ მივდიოდით და იარაღი იმიტომ გვქონდა. გაოცებისგან პირი დავაღე, ვუთხარი, რაც იყო და როგორც იყო, დედას ვიფიცებოდი და, ალბათ, იმდენად გულწრფელი ვიყავი, მითხრა, დღეს კიდევ შემოვალ, ისინი რას ამბობენ, იმას გავიგებო. მართლაც, ორ საათში შემოვიდა, კმაყოფილი სახე ჰქონდა, ისინი ამბობენ, იარაღი ჩვენია, ის ბავშვი კდიევ შემთხვევით ჩავისვითო ანუ ჩემს წინააღმდეგ ერთიც არ აძლევდა ჩვენებას. ან როგორ უნდა მიეცა, როცა ყველაფერი მართლაც შემთხვევით იყო. მეტიც, ადვოკატმა მოითხოვა, თუ მანქანას უთვალთვალებდით და ვიდეოგადაღებას აწარმოებდით, ისიც ამოიღეთ, რომ ეს ბიჭი შემთხვევით, გზიდან აიყვანეს და მანქანაში თავიდანვე არ იჯდაო. ვიდეოზე ყველაფერი ეს მართლაც ჩანდა, მაგრამ მოსამართლემ არ დაიჯერა, აქაოდა, ისიც თანამზრახველი იყო, უბრალოდ, გზაში შეხვდაო და პროკურორის ეს სიტყვები სასამართლოში მარტივად დაიჯერეს. მოკლედ, იმ ბიჭებს 7-7 წელი ჩამოურიგეს და მე, როგორც არასრულწლოვანს, თანაც იქამდე, რამე დანაშაულში შეუმჩნეველს, 4 წელი „მაკმარეს“, თუმცა ჩემთვის ეს 4 წელი ყველაფრის დასასრული იყო – იურისტობაზე ოცნების, სწავლის გაგრძელების, სკოლის დამთავრების... ასე მოვხვდი არასრულწლოვანთა კოლონიაში...

ვისაც ჰგონია, რომ „მალალეტკებში“ ყოფნა უფრო ადვილია, ვიდრე დიდებში, ძალიან ცდება. არავინ იცის, რას უნდა ელოდო არასრულწლოვანისგან და იქ ჩემსავით შემთხვევით ერთი, მაქსიმუმ, ორი თუ ხვდება. დანარჩენები „ხიშნიკი მოზარდები“ არიან, იპარავენ, ძარცვავენ, ქურდობა უნდათ, ზონის შიგნით „მაყურებლობისთვის“ იბრძვიან. ჰოდა, მგლების ხროვაში მოვხვდი და რადგან გამოუცდელი და არიფი ვიყავი, ყველა ჩემს დაჩაგვრას ცდილობდა, რაც არცთუ მარტივი იყო. ის, რომ კრიმინალური წარსული და გამოცდილება არ მქონდა, არ ნიშნავს, რომ თავის დაცვას ვერ მოვახერხებდი. ამიტომ, პირველ ორ თვეში, სამჯერ ვიყავი კარცერში და ათამდე ჩხუბი გადამხდა. მივხვდი, რომ თავი ჩემით უნდა გამეტანა და გამქონდა კიდეც. ეგებ, კარგი განათლების გამო იყო, რომ მათში გამოვირჩეოდი, ბევრი რამ ვიცოდი და ერთ წელიწადში, მეც მომინდა „მაყურებლობა“, მეც მინდოდა, პირველი ვყოფილიყავი, „ყოჩი“ მრქმეოდა!

„სროკის“ ბოლო წელი დიდების ზონაზე მოვიხადე. „მალალეტკების მაყურებელი“ მოვიდაო, როგორც კი გაიგეს, მაშინვე „ვზროსლების“ „მაყურებლებმა“ დამიძახეს, გამომკითხეს რაღაცები, ვინ ვიყავი, რა მინდოდა.... ის ბიჭებიც იმ ზონაზე იყვნენ, ვის გამოც დამიჭირეს და თითქოს, მფარველობა იკისრეს, მაგრამ რა მფარველობა, აქეთ დავიფარავდი, თუ საჭირო იქნებოდა. ერთ თვეში, დიდების ზონიდან, კორპუსის „მაყურებელი“ წავიდა, „კრიტში“ გადაიყვანეს და დიდებს ბევრი არ უფიქრიათ, ისე დამნიშნეს კორპუსის მაყურებლად. ზონიდან გასვლამდე ორი თვით ადრე კი, მთელი ზონის „მაყურებელი“ ვიყავი და რადგან არ შეიძლებოდა, „მაყურებელი“ ჩვეულებრივი ზონიდან გასულიყო, ბოლო ორი კვირა კრიტში გავატარე.

რა მოხდა თავისუფლებაზე? ციხეში 15 წლის დამჯერი, ბეჯითი ბავშვი შევედი, რომელსაც ოცნებები ჰქონდა, რომელსაც სწავლა სწყუროდა, რომელსაც მომავლის იმედი ჰქონდა და იქიდან ჩამოყალიბებული კრიმინალი გამოვედი, რომელსაც გარეთ თანაკლასელები კი არა, უბნის ძმა-ბიჭები დამხვდნენ, რომელთაგან ნახევარს არც კი ვიცნობდი, მაგრამ გაგებული ჰქონდათ, რომ ზონაზე „მაყურებელი“ ვიყავი და ჩათვალეს, რომ ჩემთვის პატივი უნდა ეცათ. პარალელურად, პოლიციას ვყავდი აღრიცხვაზე, მამოწმებდა, რამეს ხომ არ ვაფუჭებდი და ამიტომ, რუსეთში „მოვხიე“. რეალურად, ჩვეულებრივად წავედი, მაგრამ კრიმინალურ წრეში ასე უნდა გეთქვა – „მოვხიე“. რუსეთში მალე დამიჭირეს, იქაც ზონაზე „მაყურებელი“ ვიყავი, მერე უკრაინაში გადავედი, ცოტა ხანს იქაც მომიწია, იქაც „მაყურებლად“ და „კანონიერ ქურდებთან“ უკვე სახელი მქონდა და ყველა ხვდებოდა, რომ მათ გზას დავადგებოდი. თანაც, უშეცდომოდ ვიარე და იერარქიულად ზემოთ მდგომი კრიმინალების გარდა, პატივს რიგითი პატიმრებიც მცემდნენ, ეს კი, ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია“...

ჩემს ნაცნობს ახლაც დავუკავშირდი და ვთხოვე ეთქვა ის, რატომ დათანხმდა, ამ გზას ბოლომდე გაჰყოლოდა, რადგან ვიცოდი, შეთავაზების მიუხედავად, თავს იკავებდა და არ სურდა „კანონიერი ქურდი“ დარქმეოდა.

„როცა ევროპაში წავედი, ჯერ – საბერძნეთში, მერე – ესპანეთში და სწორედ ესპანეთში მივხვდი, რომ „კანონიერი ქურდის“ სტატუსს უნდა დავთანხმდებოდი, სხვაგვარად, მე მიწევდა საქმეებზე სირბილი, ფულის შოვნა და ჩალიჩი, ქურდები კი მეფეებივით იყვნენ, ყოველ საღამოს წილი მისდიოდათ „ბლატატასგან“, რაღაც ნაწილს „ობშჩიაკში“ აგზავნიდნენ, დანარჩენს იტოვებდნენ და... დავიღალე, მართლა დავიღალე. ამიტომ, ახლა ჩემი „კამანდა“ მყავს, ბიჭები, რომლებსაც ვმფარველობ, რომლებიც დარბიან და მეც ისე ვიქცევი, როგორც დანარჩენები. ზუსტად ვიცი, რომელიმე მათგანი რომ დაიჭირონ, აუცილებლად ავიღებ „ობშჩიაკიდან“ სოლიდურ თანხას და თუ მათ ვერ ვუშველი, მათ ოჯახებს გავუგზავნი საქართველოში. აქ ყველა ასეა, ყველა გადარჩენაზეა და ათასი ქართველიდან, ერთი ან ორი არის მართლა კარგად, ლეგალური ბიზნესით და ლეგალური კარგი შემოსავლით. ვიღაცას რომ ჰგონია, რომ აქ 2-3 ათასი ევრო თვეში კარგი შემოსავალია, რეალურად არაფერია. 2-3 ათას ევროდ, დაახლოებით, ისე იცხოვრებ, საქართველოში თვეში ათას ლარამდე რომ გქონდეს, ამ ფულად კი, როგორც ცხოვრობენ ადამიანები ჩვენთან, თავადაც იცით“...

რა მოხდებოდა, რომ არა ის შემთხვევა, ძალოვნების გულგრილობა და იურისტობაზე მეოცნებე ბიჭის კრიმინალად ჩამოყალიბება? თითქოს, ისტორია ბანალურია, მაგრამ ის, რაც ვერ მოახერხა ჩვენმა გმირმა, ცდილობს, მისმა ძმისშვილმა გააკეთოს. ამიტომ წაიყვანა ძმისშვილი ევროპაში და ახლა საფრანგეთში, იურიდიულ განათლებას ეუფლება, ბიძა კი, ყველანაირად ხელს უწყობს.

ვინ არის რექტორი, რომელსაც ინტიმური ფოტოებით აშანტაჟებდნენ

ბათო ჯაფარიძე

ახლა იმდენი უმაღლესი სასწავლებელია, ყველას რექტორის გვარი არც საზოგადოებისთვის არის ცნობილი და ეგებ, არც იმ სასწავლებლის უკლებლივ ყველა სტუდენტმა იცოდეს. ადრე კი, ასე ნამდვილად არ იყო, „გე პე ი"-ს, სამედიცინო ინსტიტუტის, პედაგოგიურის, ფიზკულტურისა და, რაღა თქმა უნდა, თბილისის ივანე ჯავახიშვილისსახელობის უნივერსიტეტის რექტორთა გვარები არათუ ყველამ იცოდა, არამედ, ეს ადამიანები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, მათ ანგარიშს უწევდნენ და ასე განსაჯეთ, თავის დროზე, უნივერსიტეტის რექტორს, როინ მეტრეველს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობსაც კი უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან ის ძალიან, ძალიან დიდი ავტორიტეტი იყო. ახლა კი, რექტორი ძალიან ბევრია და აკი გითხარით, ბევრი მათგანის სახელი და გვარიც კი არ იცის საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა.

ჰოდა, კომუნისტების დროს, მაშინ, როცა რექტორობა უდიდეს პასუხისმგებლობასა და ავტორიტეტთან ერთად, სახელიც იყო, ზემოთჩამოთვლილი ერთ-ერთი სასწავლებლის რექტორი მილიციის განყოფილების ნაცვლად, პირდაპირ შს სამინისტროში მივიდა და განაცხადა, რომ მას აშანტაჟებდნენ. შანტაჟის საფუძველი ის ფოტოები გახდა, რომელიც რექტორს ქალაქგარეთ გადაუღეს, ფოტოებზე კი ჩანდა, რომ სამსახურის მანქანის სავარძელზე რექტორი იჯდა, მუხლებზე კი, ახალგაზრდა ქალი წამოსკუპებულიყო. იმ დროს ეს ფოტოები რექტორისთვის ყველაფრის დაკარგვას ნიშნავდა – კარიერის, ოჯახის, პატივისცემის... რაც მთავარია, ფოტოების ავტორი რექტორისგან – არც მეტი, არც ნაკლები – 120 ათას მანეთს ითხოვდა.

„ღარიბი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ 120 ათასი მანეთი არარეალური თანხაა, ფიზიკურად წარმოუდგენელია, ეს თანხა ვიშოვო, ყველაფერი რომ გავყიდო, ამდენს მაინც ვერ მოვაგროვებ ანუ შანტაჟისტს უნდა, რომ სურათები გამოაქვეყნოს, რადგან თავადაც უნდა იცოდეს, რომ რექტორებს ასეთი ფული, უბრალოდ, არ აქვთ", -წუწუნებდა 60 წელს გადაცილებული კაცი.

ძალოვანი უწყების თანამშრომლები საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ. სურათებზე, რექტორის ანაბეჭდების გარდა, სხვა რამე კვალი არ იყო და ისიც ნათელი გახლდათ, რომ ფოტოები კუსტარულად, სახლში იყო დაბეჭდილი, რადგან გამჟღავნების ხსნარის დოზები არ იყო დაცული, მაგრამ სურათი მაინც მკაფიო გახლდათ. ასეთი მინი ფოტო-ატელიე კი ლამის ყოველ მესამეს ჰქონდა მოწყობილი და ძებნა უზარობა იყო. გადაწყვიტეს, დალოდებოდნენ იმ სამი დღის გასვლას, რომელიც შანტაჟისტმა ფულის მოსაგროვებლად მისცა რექტორს და იმედოვნებდნენ, რომ ის რამე შეცდომას დაუშვებდა, თუმცა...

სამი დღის შემდეგ, რექტორის ტელეფონზე ზარი გაისმა და მამაკაცის მოგუდულმა ხმამ ფულის გარდა, მას გადადგომა და ცოლისთვის სურათების ჩვენება მოსთხოვა. ისე ჩანდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ შანტაჟი, ეს იყო ერთგვარი შურისძიება. ეგებ, დამნაშავე მის სტუდენტებს შორის უნდა ეძებნათ, მაგრამ როგორ? ათასობით მოქმედი და უფრო მეტი კურსდამთავრებული სტუდენტიდან რამდენიმე ასეული მაინც იქნებოდა, რომელსაც რექტორი უბრალოდ არ მოსწონდა. ამასთან ერთად, თავად რექტორს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი „გაფუჭებით" დაინტერესებული. სამართალდამცავებმა მისი საყვარლის დაკითხვა გადაწყვიტეს.

„მე არავისთვის მითქვამს, იმ დღეს სად მივდიოდით, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, თუ ქალაქგარეთ გავისეირნებდით. საღამოობით მოდის ხოლმე, მე მანქანაში ვჯდები და მხოლოდ თავად იცის, სად მივდივართ და რამდენი ხნით. ამიტომ, ჩემზე ეჭვს ნუ მიიტანთ. თანაც, მე ამ საქმიდან რა ხეირი? ყველაფრით კმაყოფილი ვარ", – ჟღურტულებდა ახალგაზრდა ქალი და რექტორმაც დაადასტურა, რომ ქალმა არ იცოდა, იმ დღეს სად წავიდოდნენ. შესაბამისად, ეჭვმიტანილი რექტორის გარემოცვაში უნდა ეძებნათ, მაგრამ ესეც თივის ზვინში ნემსის ძებნას ჰგავდა – რექტორი არც მეგობრებს ეუბნებოდა, რომ საყვარელთან ერთად, ქალაქგარეთ უნდა გასულიყო. ასეთ ამბებს მაშინ საგულდაგულოდ მალავდნენ.

„ჩვეულებრივი ოჯახი მაქვს, ცოლი, შვილები. გოგოს საქმრო ჰყავს, კარგი, ახალგაზრდა ბიჭია, სიმართლე გითხრათ, მისი ბევრი არაფერი ვიცი, მხოლოდ სახელი და გვარი და ის, რომ სადღაც მუშაობს და სწავლობს. ჩემი ცოლი მეუბნება, საქმროაო, მაგრამ ჩემთვის ოფიციალურად ხელი არ უთხოვია და როცა ამას გააკეთებს, მერე გადავწყვეტ, დავუძახო თუ არა საქმრო", – ამბობდა რექტორი.

ძალოვნებს ისიც აფიქრებდათ, რომ რამდენიმე თვეში, რექტორის ახალი არჩევნები უნდა შემდგარიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამსახურიდან საკუთარი ნებით წასული რექტორი არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა და ეგებ, ვიღაცას გზის გათავისუფლება უნდოდა. დაიწყეს სავარაუდო კანდიდატების მოძიება, მაგრამ ვერაფერი ნახეს, რადგან კონკურენტი, უბრალოდ, არ ჩანდა. ამასობაში, რექტორი გადარეული მივარდა განყოფილებაში და თქვა, რომ შუქნიშანზე ლამის მანქანამ დაარტყა, ძლივს გადარჩა და ეს მინიშნება იყო – ის, ვინც შანტაჟს უწყობდა,მზად იყო, მოეკლა კიდეც. ძალოვნებმა თვითმხილველები გამოკითხეს, მაგრამ ავტომობილის ნომერი ვერავინ დაინახა. გადაწყდა, რექტორისა და მისი ოჯახის წევრებისთვის თითო ოპერმუშაკი მიემაგრებინათ, თუმცა ასე დიდხანს გაგრძელება არ შეიძლებოდა.

„იქნებ, რექტორი დათანხმდეს თანხის მიცემაზე, ფულის ნაცვლად, ჩანთაში ქაღალდები ჩავდოთ და როცა მას წაიღებენ, დამნაშავე მაშინ ავიყვანოთ", – თქვა ერთ-ერთმა გამომძებელმა და პრინციპში, სხვა გზა არც იყო. ამიტომ, რექტორი კარგად დაამუშავეს, აუხსნეს, რა და როგორ უნდა ეთქვა და როცა სახლში ტელეფონის ზარი კვლავ გაისმა, მან მხოლოდ ადგილი იკითხა, თუ სად უნდა მიეტანა ფული. პროფესორს აუხსნეს, რომ ფულით სავსე ჩანთა თბილისის ზღვის მიმდებარედ, სანაგვე ურნაში უნდა ჩაეგდო და იქაურობას გასცლოდა. სპეცოპერაცია დაიგეგმა, თბილისის ზღვაზე, იმ ურნის ახლოს, ოთხი ოპერმუშაკი ანკესით იდგა და „თევზაობდა", გვერდით, მენაყინე ქალიც ოპერმუშაკი იყო, იქვე მდგარი ტაქსის მძღოლებიც ძალოვნები გახლდნენ და ზოგადად, იმ ადგილზე, დაახლოებით, 30-მდე შენიღბული თანამშრომელი იდგა და მოუთმენლად ელოდა დამნაშავის გამოჩენას. რექტორი სანაგვესთან მივიდა, ქაღალდის დასტებით გაძეძგილი ჩანთა მითითებულ სანაგვეში ჩააგდო და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გაეცალა. სამართალდამცავები დაიძაბნენ, ახლა გადამწყვეტი მომენტი დგებოდა, ვიღაცას ის ჩანთა უნდა წაეღო და ის ვიღაც აუცილებლად უნდა დაეპატიმრებინათ, რადგან მეორე შანსი აღარ იქნებოდა.

სანაგვე ყუთთან ნახევარი საათი არავინ გამოჩნდა, ვიღაც წყვილმა გაიარა, ბიჭმა ურნაში სიგარეტის ნამწვი მოისროლა და ეგ იყო. მალე, სანაპიროზე, ქალი გამოჩნდა, ნელი ნაბიჯით მოდიოდა, მძიმე-მძიმედ, მერე გეზი სანაგვისკენ აიღო, ჩაიხედა, ჩანთას ხელი მოკიდა, ამოიღო და ისევ მძიმედ გაუყვა ნაპირს, მაგრამ 20 მეტრიც კი არ ჰქონდა გავლილი,როცა სამართალდამცავები ეცნენ, მიწაზე დააწვინეს და ჩანთა გამოსტაცეს.

„მე უსახლკარო ვარ, ზაფხულში აქ, სანაპიროზე ვარ ხოლმე, საჭმლის ბევრი ნარჩენია და იოლად გავდივარ. ვიღაც ბიჭმა ფული მომცა, სანაგვეში ჩანთა დაგხვდება და თუ მომიტან, ერთ ამდენს კიდევ დაგიმატებო. ახლა სწორედ მასთან მივდივარ, იმდენს მაძლევს, ორი კვირა მეყოფა საჭმლისთვის", – განაცხადა ქალმა, მაგრამ... ბიჭის აღწერა ვერ მოახერხა, კეპი ჰქონდა ჩამოფხატებული და სახეს ბენდენაში მალავდაო.

სამართალდამცავებმა უღონოდ ჩამოუშვეს ხელები. ცხადი იყო, დამნაშავე ქალს შორიდან უთვალთვალებდა და ყველაფერს კარგად დაინახავდა. ახლა, რექტორისა და მისი ოჯახის წევრებისთვის დაცვა ნამდვილად უნდა გაეძლიერებინათ. ამასობაში, უსახლკარო ქალი მილიციის განყოფილებაში თავად მივიდა და გაიხსენა, რომ მამაკაცს, რომელმაც ჩანთის აღება სთხოვა, ნეკა თითზე დიდი ნაიარევი ჰქონდა.

„ნეკა თითზე ნაიარევი? არ ვიცი, მე არავინ მახსენდება, ჩემი ოჯახის წევრებს ვკითხავ", – თქვა რექოტრმა და ერთ საათში, განყოფილებაში გულგახეთქილი მივარდა – ჩემი გოგოს საქმროს ჰქონია თითზე დიდი ნაიარევი და ახლა ის ბიჭი, ჩემს შვილთან ერთად, სადღაც სასეირნოდ არის წასულიო. სამართალდამცავებმა ბიჭის ვინაობა მალე გაარკვიეს, მისი სურათი უსახლკარო ქალს ანახეს და მან ეჭვით თქვა, ძალიან ჰგავს, მაგრამ სახეს მალავდა და გადაჭრით ვერ ვიტყვიო. ის უფრო იმას ამტკიცებდა, ნეკა თითს თუ დამანახებთ, ვიცნობო. ბიჭი, რექტორის შვილთან ერთად, ერთ-ერთ კაფეში ნახეს და მამაკაცი იქვე დააკავეს.

„მე მისი განადგურება მსურდა იმიტომ, რომ წლების წინ, მამაჩემი სათევზაოდ იყო წასული, ამ იდიოტმა კი, მანქანა ისე დააყენა, ხელის მუხრუჭი არ ამოსწია. მანქანა დაგორდა და სანაპიროზე მდგარ მამაჩემს დაეჯახა. მაშინ ეს არაკაცი გამოძვრა, მე 6 წლის ვიყავი და ის, რომ არც კი ახსოვდა, რა გვარი იყო გარდაცვლილი, იქიდანაც ჩანს, რომ ეჭვიც არ შეპარვია, როცა მის გოგოსთან ურთერთობა დავიწყე. მე უმამოდ სწორედ მისი წყალობით გავიზარდე", – განაცხადა დაკითხვაზე ბიჭმა.

როცა რექტორს მისი ჩვენება წაუკითხეს, თავი ჩაღუნა და ჩუმად ჩაილაპარაკა – „მე არაფერი დამვიწყებია. უბრალოდ, მაშინ მანქანაში, ჩემი პატარა შვილი შეძვრა და „რუჩნოი" დასწია, სწორედ ამის მერე დაგორდა მანქანა. ჰო, ის შვილი, ამ ბიჭს ვითომ ცოლად მოყვანა რომ უნდოდა. ყველაფერი მე დავიბრალე და არ დამიჭირეს. ვნანობ, მაგრამ"...

რექტორმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბიჭი არ დაეკავებინათ, მერე კი... მერე, რექტორობიდან საკუთარი ნებით წავიდა და მოღვაწეობა მეცნიერებათა აკადემიაში გააგრძელა.

ბათო ჯაფარიძე

ახლა, ჩვეულებრივი ამბავია, რომ ორსული ქალი ირჩევს კლინიკას, ირჩევს გინეკოლოგს, რომელიც მთელი ორსულობის განმავლობაში ეხმარება, რჩევებს აძლევს, მართავს პროცესს და შემდეგ, მშობიარობასაც თავად იღებს. მერე მიდის განხილვა, რომელი გინეკოლოგი სჯობს, რომელი კლინიკა უფრო კომფორტულია... არადა, იყო დრო, როცა პირდაპირ სახლში მშობიარობდნენ, ბებია-ქალი ჰყავდა სოფელს, ან მეზობელ სოფელს, მას ეძახდნენ, ის იღებდა მშობიარობას და ასე იბადებოდნენ, იზრდებოდნენ ბავშვები. ახლაც, ამ ეპოქაში, წელიწადში ერთხელ მაინც, ისე ხდება, რომ მშობიარეს ექსტრემალურ სიტუაციაში უწევს ბავშვის გაჩენა, ან სასწრაფო დახმარების მანქანაში, ან სახლში იმიტომ, რომ წასვლას ვეღარ ასწრებს, ანდაც მეუღლის, მეგობრის, ნათესავის მანქანაში, როცა სამშობიაროსკენ მიდის, მაგრამ მისწრების შანსი აღარაა.

„არ გაპატიებ, მოგკლავ!“

რატომ დაიქირავა „ქილერი“ ექიმმა ქალმა კოლეგის მოსაკლავად

სწორედ ასე, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო ქალს და სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა, თუმცა მიხვდა, რომ შესაძლოა, მათ მოსვლამდე ყველაფერი დასრულებულიყო, ამიტომ აბაზანა წყლით აავსო, შიგ ჩაწვა და როცა ექიმები ბინაში შევიდნენ, ბავშვი უკვე გაგუდული იყო, დედამ ვერ მოასწრო ვერაფრის გაკეთება, რადგან ცოდნა არ ჰქონდა და როცა ბავშვი ნახევრად გამოვიდა, ის წყალში გაიგუდა. ექიმები ბევრს ეცადნენ ჩვილის აზრზე მოყვანას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და სიკვდილი დააფიქსირეს. ამ დროს ბინაში ოჯახის უფროსიც მოვიდა და როცა უთხრეს, რომ ბავშვი გარდაიცვალა, კედელს თავი ურტყა, შემდეგ კი, ისე, რომ არაფერი უკითხავს, ექიმს, რომელსაც გარდაცვლილი ბავშვი შეხვეული ეკავა ხელში, ყველას თანდასწრებით უთხრა – „შენი ბრალია, არ გაპატიებ, მოგკლავ!“

რა თქმა უნდა, ყველამ ჩათვალა, რომ ეს გაბრაზებულმა მამაკაცმა ცხელ გულზე თქვა, მაგრამ ზუსტად სამ დღეში, ექიმი პოლიციის განყოფილებაში მივიდა და განაცხადა, რომ მას იარაღიდან ესროლეს.

„სახლში სულ ერთი და იგივე გზით ვბრუნდები, ავტობუსის გაჩერებიდან სკვერს ვკვეთ და სადარბაზოში შევდივარ. გუშინ საღამოსაც ასე მოვიქეცი, სკვერი გადავკვეთე და გასროლის ხმა გავიგე. უკან მოვიხედე და იმ ჩვილის მამა დავინახე, რომელიც ზუსტად სამი დღის წინ გარდაიცვალა. მას ვიღაც კაცი ეჭიდავებოდა, იარაღის წართმევას ცდილობდა. ბევრი არ მიფიქრია, მაშინვე ნაბიჯს ავუჩქარე და ლამის სირბილით შევვარდი სადარბაზოში. მერე რა მოხდა, არ ვიცი, ღამე შიშით გარეთ ვერ გამოვედი, დღეს კი, ტაქსი გამოვიძახე, სადარბაზოსთან გავაჩერებინე, ჩავხტი და აქ მოვედი“, – განაცხადა ქალმა.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა საქმე აღძრეს და რადგანაც ზუსტად იცოდნენ, ვინ იყო თავდამსხმელი, მის დასაკავებლად წავიდნენ. მამაკაცი სახლში იმყოფებოდა და სამართალდამცავების დანახვამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა, შემდეგ კი, როცა მიზეზი გაიგო, გაიღიმა და მათ უხმოდ გაჰყვა.

„არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ ბავშვის გარდაცვალების რეალური მიზეზი გავიგე და გადავწყვიტე, რომ ვალდებული ვიყავი, იმ ექიმისთვის ბოდიში მომეხადა. გარდა იმისა, რომ მოკვლით დავემუქრე, ძალიან ბევრი ვაგინე. ამიტომ, ველოდებოდი, შინ როდის დაბრუნდებოდა. დავინახე, ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა, სკვერში რომ შემოვიდა და მისვლა დავაპირე, მაგრამ დავინახე, რომ მას ვიღაც კაცი უთვალთვალებდა, ამიტომ დავაყოვნე და როცა იმ კაცს გასცდა, დავინახე, როგორ ამოიღო მან მიზანში და როგორ უპირებდა სრულას. იარაღზე ხელი ავუკარი, თუმცა მაინც გაისროლა, მერე ჭიდაობა დავუწყე, მაგრამ გამექცა. ახლა, თქვენ მეუბნებით, რომ მისი მოკვლა მინდოდა, მაგრამ ასე არ არის. კარგი, მე ნუ გამიშვებთ, დამაკავეთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ იმ ექიმის მოკვლა უნდათ და ცოტა ხანს მაინც, დაცვა დაუყენეთ და ჩემი სიტყვების სისწორეში დარწმუნდებით. არა მგონია, მისი მოკვლის მსურველმა ხელის ერთი შეშლის შემდეგ გადაიფიქროს“, – განაცხადა დაკავებულმა.

ეჭვმიტანილი იმდენად მშვიდად საუბრობდა,რომ გამომძიებლებს ეჭვი გაუჩნდათ, სიმართლეს ამბობსო. ეჭვი მას შემდეგ უფრო გამყარდა, რაც ექსპერტიზამ აჩვენა, რომ მის ხელებზე დენთის კვალი არ იყო ანუ კი იყო, მაგრამ არა იმ ოდენობით, რომელიც მაშინ რჩება, თუ ადამიანს იარაღი თავად უჭირავს. ამიტომ, დაკითხვაზე ექიმიც დაიბარეს, დაკავებულის მინათხრობი მოუყვეს და ჰკითხეს, ხომ არ გაქვს ეჭვი, რომ შენს მოკვლას სხვა ცდილობდესო?

„მთელი ღამე ვფიქრობდი, ახლაც ვფიქრობდი და... ალბათ, ეს რომ ვიცანი, იმიტომ, ვთქვი, ჩემს მოკვლას ცდილობდა-მეთქი, მაგრამ ახლა რომ აღვიდგინე, იარაღი მართლა მეორე მამაკაცს ეკავა ხელში და ეს ცდილობდა წართმვას, მაგრამ ეს მერე, მოგვიანებით აღვიქვი. ღმერთო, წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლება სურდეს ჩემი მოკვლა, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჩემს ხელში ვიღაცამ დალია სული. პრინციპში, ის ბავშვიც, როცა მივედი, უკვე გარდაცვლილი იყო და წარმოდგენა არ მაქვს, ვინ უნდა მერჩოდეს. ქმარი მე არ მყავს და შვილი, ჩემთვის, მარტო ვცხოვრობ, არავის არაფერს ვუშავებ“, – ატირდა ქალი.

პოლიციას ეჭვმიტანილის დაკავების მიზეზი უბრალოდ აღარ ჰქონდა და ამიტომ, მისი გაშვება დააპირეს, თუმცა მანამდე სთხოვეს, ეგებ, დაფიქრდე და იმ მამაკაცის სახე აღიდგინო, ვინც ექიმის მოკვლას ცდილობდაო.

„ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის კაცი ნასვამი იყო, არყის სუნად ყარდა, ეგებ, ამიტომაც მოქმედებდა ცოტა დაუფიქრებლად და ღიად, თორემ შეეძლო, ხის უკან ისე დამალულიყო, მე არ შემემჩნია. სახეზე, ალბათ, წამით მოვკარი თვალი, თან უკვე ბნელოდა. არ ვიცი, ვერ გეტყვით... ჩვეულებრივი, საშუალო სიმაღლის, ჩემი აღნაგობის კაცი იყო, არაფრით გამორჩეული, შავი ქურთუკი ეცვა, ქუდი ეფარა და არყის სუნი ასდიოდა. შარვალი? ალბათ, ჯინსი“, – ამ მონაყოლში სამართალდამცავებისთვის საინტერესო ბევრი არაფერი იყო.

რაღა თქმა უნდა, ექიმს ორი ოპერმუშაკი მიამაგრეს, თანაც ისე, რომ ქალმა არაფერი იცოდა. მან კი მოითხოვა, დამიცავითო, მაგრამ ცივი უაარი მიიღო. ეს გადაწყვეტილება გამომძიებლებმა იმიტომ მიიღეს, რომ ექიმს ცხოვრების ჩვეულებრივი წესით ეცხოვრა, არაფერი შეეცვალა, რათა პოლიციისთვის ძაფის ის ბოლო მიეცა, რომელიც დამნაშავის დაკავებამდე მიიყვანდა.

ორდღიანი თვალთვალის შემდეგ, ოპერებმა საინტერესო პატაკი დაწერეს. მართალია, ექიმი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა, მაგრამ იმ კლინიკის მთავარ ექიმს ჰყვარობდა, სადაც მუშაობდა. იმავე კლინიკაში მუშაობდა მთავარი ექიმის ცოლი და როგორც მოგვიანებით, მოკვლევით გაირკვა, ცოლის გარდა, ამ ურთიერთობაზე ყველა ჭორაობდა. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ... ხომ შეიძლებოდა, შურისძიება ცოლს გადაეწყვიტა? მაგრამ, ექიმს, გინეკოლოგ ქალს, სად უნდა ეპოვნა, ან როგორ უნდა გასულიყო „ქილერზე“, რომელიც ამას იკისრებდა და რაც მთავარია, მკვლელობაში ხომ თანხა იქნებოდა გადასახდელი, თან არცთუ მცირე. ასეთი თანხა კი ქალს საბანკო ანგარიშებზე არ ჰქონდა, „ქეშად“ კი... საეჭვო იყო, „ქეშად“ ფული ჰქონოდა და ქმრის ნებართვის გარეშე აეღო, შენი საყვარლის მკვლელობა უნდა შევუკვეთოო.

მომხდარიდან სამი დღე გავიდა, მაგრამ ქალის სიახლოვეს აღარავინ გამოჩენილა. ერთი გაფიქრება, სამართალდამცავებმა ისიც კი იფიქრეს, ეგებ, პირველად დაკავებულმა კარგად მოგვატყუა და დაზარალებულსაც რამე მოეჩვენაო, მაგრამ ეს ხავსზე მოჭიდებას უფრო ჰგავდა. ცოტა ხანში, ოპერებმა თქვეს, რომ საავადმყოფოსთან ერთი საეჭვო გარეგნობის მამაკაცი წრიალებდა და წელზე ხელს ისე იკდებდა, თითქოს იარაღს ისწორებდა. გაჩნდა ეჭვი, რომ ეს სწორედ ის „ქილერი“ იყო. ძალოვნებმა სარისკო გადაწყვეტილება მიიღეს. გინეკოლოგს დაურეკეს და გააფრთხილეს, რომ გარეთ არ გამოსულიყო, ცოტა ხანში კი, კლინიკაში ორი ქალი შევიდა, რაც არავის გააკვირვებდა. ერთი პოლიციელი იყო, მეორე – პროფესიონალი ვიზაჟისტი. მას დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა იმისთვის, რომ პოლიციელი გინეკოლოგისთვის დაემსგავსებინა, სამართალდამცავს მისი სამოსი მოერგო, ჯავშან-ჟილეტი ჩაეცვა და კლინიკიდან გამოსულიყო. რა თქმა უნდა, კლინიკის ეზო გადაცმული თანამშრომლებით იყო სავსე.

თავდამსხმელი ხრიკს წამოეგო, როგორც კი „მიხვდა“, რომ კლინიკიდან მისი მსხვერპლი გავიდა, დაახლოებით, ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა, იარაღი ამოიღო და სანამ იქვე მდგარი პოლიციელი ხელს აუკრავდა, გასროლა მოასწრო. ტყვია პოლიციელ ქალს ჯავშან-ჟილეტში მოხვდა, დარტყმამ ის წააქცია, თავდამსხმელს კი უკვე ოთხი ძალოვანი უგრეხდა ხელებს. საბედნიეროდ, პოლიციის თანამშრომელი მხოლოდ სილურჯეებით გადარჩა, თავდამსხმელი კი...

„დედა მყავს ცუდად, ბევრი წამალი და ექიმის მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება. ჩემი მეზობელი ქალი ექიმია, ამ კლინიკაში მუშაობს, მთავარი ექიმის ცოლია და ის უსასყიდლოდ მკურნალობდა, წამლებიც უსასყიდლოდ მოჰქონდა. მერე მითხრა, თუ გინდა, ეს ყველაფერი გაგრძელდეს, ერთი ქალი უნდა მომაშოროო, იარაღი და ქალის სურათი მომცა, მაგრამ უხეირო მკვლელი გამოვდექი“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ უხეირო „ქილერს“ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკვლელობის შემკვეთ ქალს კი, 9 წელი მისცეს.

სამეგრელოში პოლიციის ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, გურამ ზესაშვილმა სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოში, პოლიციის ახალი შენობა გახსნა.

პოლიციის შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა და აღჭურვილია უახლესი ინვენტარით.

საჯიჯაოში პოლიციის შენობა ამ დრომდე არ არსებობდა. განყოფილებაში დასაქმებული პოლიციელები ხობის მუნიციპალიტეტის ხუთ სოფელს მოემსახურებიან.

შენობაში მოწყობილია დეტექტივებისა და გამომძიებლების სამუშაო სივრცეები, ნივთმტკიცების შესანახი ოთახები, ასევე, თანამშრომლებისთვის მოსასვენებელი ოთახები. შენობა ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლება და სამართალდამცველთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო წლების განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, პოლიციის არაერთი ახალი შენობა გაიხსნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, ინფრასტრუქტურულ პროექტებს სამომავლოდაც გააგრძელებს.

მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხის შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

7-28 ივლისს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში – „სარფი“ და „წითელი ხიდი“, მებაჟე ოფიცრებმა, დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხის მალულად შემოტანის ფაქტები აღკვეთეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, საბოლოოდ – 2900 ევრო, 59 407 აშშ დოლარი და 7 265 700 რუსული რუბლი გამოავლინეს.

„არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 655 597.94 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი მოქალაქეები, სანქციის სახით, ჯამში – 65 560.16 ლარით (თანხის 10%-ის ოდენობა) დაჯარიმდნენ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

7 ნოემბრის საქმეზე, ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორმა, ტელეკომპანია „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, გოგი ჯაოშვილმა სასამართლოში ჩვენება მისცა

„ბადრის (პატარკაციშვილს) ბიზნესმენთა ასოციაციაში მთავრობის მიმართ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ, მაშინდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაეძაბა. ამასთან, ტელევიზია თავს თავისუფლად გრძნობდა, რაც მაშინდელ ხელისუფლებას არ მოსწონდა. ხელისუფლებამ მისი აქტივების შევიწროება დაიწყო“, – ამის შესახებ ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორმა, ტელეკომპანია „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, გოგი ჯაოშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა.

მან 7 ნოემბრის საქმეზე მისცა ჩვენება, სადაც მიხეილ სააკიშვილთან ერთად, ყოფილი მაღალჩინოსნები, მათ შორის, გიგი უგულავაა ბრალდებული.

გოგი ჯაოშვილი მთაწმინდის პარკის დირექტორიც იყო და მან დეტალურად გაიხსენა 2007 წელს მომხდარი მოვლენები.

„2007 წლის 7 ნოემბერს, მთაწმინდის პარკის თანამშრომელმა დამირეკა, სასწრაფოდ ამოდი, შემოიჭრნენ სამხედრო ფორმიანი და ნიღბიანი ხალხიო. მთაწმინდაზე ათამდე კაცი ნიღბებში, დანარჩენი 50-მდე – უნიფორმაში იყვნენ, პარკის ტერიტორია ყველამ დატოვეთ მუშებიანადო და გამოგვაძევეს მუშებიანად. ერთი ის გავიგე, რომ

მერის (გიგი უგულავას) მითითებით იყვნენ გამოძახებულები, ამ გარკვევებში ვიყავი, საღამოს რომ გავიგე, „ტელეიმედში“ დალეწილი იყო ყველაფერი. ბევრჯერ გაშუქდა, ვნახეთ, იქ რა სიტუაცია იყო. ვერ შევედი, ცემა-ტყეპა იყო, რომელი სტრუქტურა იქნებოდა, ამას რა აზრი ჰქონდა ჩვენთვის. არ დამიწყია გარკვევა, ხელისუფლება იყო. ქალაქის მერიამ 49-წლიანი ხელშეკრულება მოშალა, გაუგებარი რამე იყო, 18 მილიონი დოლარი გვქონდა მთაწმინდის პარკში დახარჯული, გაგვიზარდა იჯარის ფასები მთაწმინდის ტერიტორიაზე, წინასწარ არ იყო შეთანხმებული, გვითხრეს, თქვენ უნდა გადაიხადოთ დიდი თანხა. მერე გამოაცხადეს, ვწყვეტთ ხელშეკრულებასო. ეს წვრილმანი იყო, მთავარი მიზანი იყო მთაწმინდის პარკის კონფისკაცია. 2008 წლის მარტში, მერიაში აპარატის უფროსმა, მამუკა ახვლედიანმა დამიბარა და მითხრა, ახლა თქვენ გელაპარაკებით, როგორც გიგი უგულავა, სარჩელი გამოიტანეთ სასამართლოდანო. მთაწმინდის უძრავ-მოძრავი ქონება ქალაქის მერიას უსასყიდლოდ ერთი პირობით უნდა გადასცემოდა, უცხოელ ინვესტორებთან, თუ ვალი გაქვთ იმას ჩვენ გავისტუმრებთო. ვერ შევთანხმდით, მე მომიწია წასვლა საქართველოდან.

სავარაუდოდ, უგულავას ელაპარაკა ახვლედიანი და სმს მოვიდა უგულავასგან, რომელიც წამიკითხეს, ჯაოშვილს გადაეცი, ერთ ადგილზე გავუშვებ მაგასო, თუ არ დავთანხმდებოდი მთაწმინდის ქონების დათმობას. გიორგი ისაკაძეც ესწრებოდა იქ შეხვედრას, ქაღალდი დამიდეს, მოაწერე ხელიო, 4 პუნქტი იყო“, – განაცხადა ჯაოშვილმა.

ცნობისთვის, სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური, ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ საქმეში სააკაშვილთან ერთად, ბრალდებულები არიან: ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და გიგი უგულავა.

სირცხვილია – ბათუმის „დინამო“ ვიღაცასთან დამარცხდა

კონფერენს ლიგაზე, ბათუმის „დინამო“ იმიტომ გადაერთო, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს პირველივე წრიდან გამოეთიშა. როცა გაირკვა, რომ აჭარული კლუბის მეტოქე მონტენეგროს „დეჩიჩი“ იქნებოდა, ბევრს გაუხარდა, რადგან ეს კლუბი არ არის ისეთი, თავმოყვარე გუნდმა რომ ვერ მოუგოს და საბუკმეიკერო კანტორებმაც მეტოქეთა ძალები რეალურად შეაფასეს – „დინამოს“ მოგებაზე კოეფიციენტი 1.36 იყო ანუ თუ აჭარლების გამარჯვებაზე 100 ლარს დადებდით, 136 ლარს მოგცემდნენ, „დეჩიჩის“ მოგება კი, 6.50-ით იყო შეფასებული ანუ მათ გამარჯვებაზე 100 ლარს თუ დადებდით, 650 ლარს აიღებდით, მაგრამ რომელი „სულელი“ გარისკავდა და დადებდა უსუსტეს მეტოქეზე?

სეზონის წინ, „დინამოს“ ხელმძღვანელობა გვარწმუნებდა, ლეგიონერებით გავძლიერდითო დ მართლაც, გუნდმა შეხვედრა 5 ქართველით, 3 ბრაზილიელი, 1 პორტუგალიელი, 1 ესპანელი და 1 სენეგალელი ლეგიონერით დაიწყო. შეცვლაზე კი, 1 ალბანელი და 1 გამბიელი ლეგიონერი შევიდა. როდის მიხვდებიან ქართული კლუბები, რომ ბრაზილიელობა არ ნიშნავს ფეხბურთის კარგად თამაშს და მხოლოდ წარმომავლობის გამო, ვიღაცასთან კონტრაქტი არ უნდა გააფორმო?

„დეჩიჩთან“ შეხვედრაში, აჭარლებს ბურთის ფლობის 75%-იანი მაჩვენებელი ჰქონდათ, 5-ჯერ დაარტყეს კარში, 9-ჯერ მოაწოდეს კუთხური, მეტოქეს კი კარში ორი დარტყმა და კუთხურების გრაფაში 0 უწერია. და როგორ მორჩა მატჩი? – 0:2, სტუმრების სასარგებლოდ ანუ მათ ორივე დარტყმა გოლად აქციეს. ამ ყველაფერში სასაცილო თუ სატირალი, იცით, რა არის? ჩვენი გუნდის თავკაცმა, უკრაინელმა ანატოლი დემჩენკომ გამოგვიცხადა, სუსტ მეტოქესთან თამაში გვიჭირს, ძლიერთან უფრო კარგად ვთამაშობთ და რადგან „დეჩიჩი“ სუსტი იყო, სათანადოდ ვერ განვეწყვეთ და ვერ მოვიგეთო. ჰო, იმ დემჩენკომ, რომელსაც იმაზე მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს, ვილი სანიოლს.

ერთიც – სტადიონზე მისულმა 15 ათასმა ქომაგმა უჯიგრო და უილაჯო ფეხბურთი იხილა და შემდეგ შეხვედრაზე ამის მეათედიც რომ არ მივა, გამოვა იგივე დემჩენკო და იტყვის, გულშემატკივრები არ დადიან სტადიონზე და ასე ფეხბურთი ვერ განვითარდებაო. როცა მოვიდნენ, რა მოიგეს, რო?!

„იბერიამ“ მოიგო, „ტორპედო“ ქუთაისში იბრძოლებს

კონფერენს ლიგაზე გამოსვლას, ბათუმის „დინამოს“ გარდა, კიდევ ორი ქართული კლუბი აგრძელებს. „იბერია 1999“-მა და ქუთაისის „ტორპედომ“, პირველი მატჩები გამართეს. თბილისურმა კლუბმა საკუთარ მოედანზე, ალბანური „პარტიზანი“ აშკარად დაჩაგრა და 2:0 მოიგო, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ლევან კორღალიძის შეგირდებს მეტი მართებდათ – მეტოქე მთელი მეორე ტაიმი 10 კაცით თამაშობდა და თითქოს, იბერიელებმა თავი დაიმშვიდეს და ორბურთიანი ჰანდიკაპი იკმარეს. იმედი გვაქვს, მათი გათვლა სწორი იქნება და ერთი კვირის თავზე, ალბანეთში 3 და მეტი ბურთით არ წააგებენ, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ალბანელები მეტოქე ფეხბურთელებს ყოველთვის ცუდად ექცევიან, ცუდ სტადიონს აძლევენ სავარჯიშოდ, არც სასტუმროში ასვენებენ და ყველანაირად ცდილობენ, მეტოქე ფსიქოლოგიურად მატჩამდე მოშალონ.

კვიპროსში, „ომონიასთან“ დამარცხდა ქუთაისური კლუბი. არადა, „ტორპედომ“ ისე ითამაშა, 1:3 ნამდვილად არ უნდა წაეგო, მაგრამ დასანანი გოლები გაუშვეს. ამის მიუხედავად, სწორედ ამ შეხვედრაში, ქუთაისელთა ასპარეზობა იმედს გვაძლევს, რომ „რამაზ შენგელიაზე“ იმერლები სასურველი ანგარიშით იმარჯვებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე „ქართული შეხვედრა“ საკმაოდ უხეში გამოდგა. „იბერია“-„პარტიზანის“ დაპირისპირებაში, მსაჯმა 9 ყვითელი და 1 წითელი ბარათი უჩვენა ფეხბურთელებს, ხოლო კვიპროსული მატჩის არბიტრმა ყვითელი ბარათის ამოსაღებად, ჯიბეზე ხელი 10-ჯერ გაიკრა.

წიტაიშვილი კარიერას „გრანადაში“ გააგრძელებს – ქოჩორაშვილი „ლევანტედან“ წასასვლელად ემზადება

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა, გიორგი წიტაიშვილმა ბათუმის „დინამო“ დატოვა და კარიერას ესპანეთის სეგუნდა-დივიზიონში დაქვეითებულ „გრანადაში“ გააგრძელებს. ესპანურ კლუბს, უკვე მომავალ სეზონში სურს, უძლიერესთა შორის დაბრუნდეს და ამიტომ, გაძლიერება აქვს დაწყებული. წიტაიშვილის ასპარეზობით, კლუბის ხელმძღვანელები ევროპის ჩემპიონატზე მოიხიბლნენ და რატომღაც გვგონია, რომ გიორგი ხმამაღალ სიტყვას უკვე პირველივე სეზონში იტყვის. საქართველოს ჩემპიონატისთვის წიტაიშვილი გადაზრდილი რომ იყო და უკეთეს დონეს იმსახურებდა, არავინ დაობს.

„აქ ერთწლიანი იჯარით ვარ, მაგრამ მჯერა, მოედანზე ვაჩვენებ, რა შემიძლია, კლუბი კი გადაწყვეტილებას მიიღებს. ჩემს მეუღლეს ესპანეთში სახლი აქვს, აქ არდადეგებს ვატარებ ხოლმე, ახლა კი, ვიცხოვრებ.

გიორგი, გიო მქვია, მაგრამ შეგიძლიათ, ხორხე დამიძახოთ“, – განაცხადა წარდგენაზე წიტაიშვილმა.

სეგუნდა-დივიზიონის კიდევ ერთი ბინადარი „ლევანტე“, უდიდესი ალბათობით, გიორგი ქოჩორაშვილს დაემშვიდობება. კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, მთავარი ვარსკვლავი სწორედ „ქოჩორაა“. გიორგის სავარაუდო ფასი 5 მილიონი ევროა და იმედია, ის კარიერას, პრიმერა-დივიზიონში გააგრძელებს. როგორც ესპანური მედია წერს, მოლაპარაკებებს რამდენიმე კლუბი აწარმოებს, მაგრამ ჯერჯერობით ამ ამბავს არ ახმაურებენ, აჟიოტაჟი რომ არ ატყდეს და ქართველის ფასმა არ მოიმატოს.

გადაწყდა – თოფურია ქამარს ჰოლოუეისთან დაიცავს

UFC-ის ერთადერთ ქართველ ჩემპიონს, ილია თოფურიას ქამრის დაცვა მაქს ჰოლოუეისთან მოუწევს. ამის შესახებ განცხადება თავად ქართველმა მებრძოლმა გააკეთა და აღნიშნა, რომ UFC-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კმაყოფილია. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოლოუეი არც თუ იშვიათად ამბობდა, თოფურიასთან ბრძოლის ნებას არ მაძლევენ, თორემ მას აუცილებლად დავამარცხებდი და ქამარსაც წავართმევდიო. ილიამ მისი გამოწვევა მიიღო და ჰოლოუეი ამის შემდეგ სულ გაურბოდა ქართველთან შეხვედრას. საბოლოო ჯამში კი, გადაწყვეტილება UFC-მა მიიღო.

ჯერ არ ვიცით, სად მოხდება შეხვედრა, მაგრამ ასოციაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ეს ორი უახლოესი საბრძოლო საღამოდან ერთ-ერთზე მოხდება – ამერიკაში (სოლტ ლეიკ სიტოში), ანაც აბუ დაბიში.

შონ ომალი დვალიშვილი vs მერაბ დვალიშვილი – ქართველი ქართველის იერუკვეს

ოფიციალურად გადაწყდა, რომ 15 სექტემბერს, გამთენიისას, ლას ვეგასში, UFC-ის სუპერმსუბუქი წონის ქამრისთვის, ერთმანეთს ქამრის მფლობელი და მოქმედი ჩემპიონი, შონ ომალი და ჩვენი მერაბ დვალიშვილი დაუპირისპირდებიან. ბრძოლა, რომელსაც ყველა ელოდა, ჩაინიშნა და ახლა იმაზე მიდის საუბარი, რამდენად მოახერხებს ქართველი ათი წაუგებელი შეხვედრის შემდეგ, მეთერთმეტეს მოგებასა და ქამრის მოპოვებას.

ომალიმ მოპოვებული ქამარი ერთხელ უკვე დაიცვა და საგულისხმოა, რომ მერაბის უახლოესი მეგობარი, ალჯამეინ სტირლინგი დაამარცხა. ახლა, დვალიშვილი შეეცდება, მეგობრისთვის შური იძიოს და რაც მთავარია, ქამარი მოიპოვოს. თუ ის ამას მოახერხებს, ილია თოფურიას შემდეგ, მეორე ქართველი იქნება, რომელიც UFC-ის ქამარს შესწვდება.

მბაპემ პირი დააღო – მასზე მეტს სხვები იღებენ

მას შემდეგ, რაც კილიან მბაპემ მადრიდის „რეალის“ მაისური მოირგო, ჩათვალა, რომ ის ესპანეთში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. თანაც, მბაპემ ხომ არაბებს უთხრა უარი და 5-წლიან კონტრაქტსა და წლიურად 200 მილიონ ევროს არ დათანხმდა ანუ მომდევნო 5 წელიწადში, მას შეეძლო, მილიარდი მიეღო.

ახლა კი, გაირკვა, რომ ჯამაგირის მიხედვით, მბაპე ესპანეთში არათუ პირველი, არამედ მეორე ფეხბურთელიც არ არის. ესპანურმა მედიამ, ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა და საუკეთესო ათეულში ერთის გარდა, მხოლოდ „რეალისა“ და „ბარსელონას“ ფეხბურთელები არიან. საუკეთესო ათეული კი, ასე გამოიყურება:

ფრენკ დე იონგი („ბარსელონა“) – 37.5 მილიონი ევრო;

რობერტ ლევანდოვსკი („ბარსელონა“) – 33.3 მილიონი ევრო;

კილიან მბაპე („რეალი“) – 31.3 მილიონი ევრო;

დავიდ ალაბა („ბარსელონა“) – 22.5 მილიონი ევრო;

იან ობლაკი („ატლეტიკო“) – 20.8 მილიონი ევრო;

ჯუდ ბელინგემი („რეალი“) – 20.8 მილიონი ევრო;

ვინისიუს ჟუნიორი („რეალი“) – 20.8 მილიონი ევრო;

ილქაი გუნდოგანი („ბარსელონა“) – 18.8 მილიონი ევრო;

ფედერიკო ვალვერდე („რეალი“) – 16.7 მილიონი ევრო;

ტიბო კურტუა („რეალი“) – 15 მილიონი ევრო.

დენი დრინკუოტერი... მშენებლობაზე მუშაობს

შესაძლოა, ფეხბურთის გულშემატკივარს ეს სახელი და გვარი ახლა არაფერს ეუბნება, მაგრამ დენი დრინკუოტერი ერთ-ერთია „ლესტერის“ იმ ფეხბურთელთაგან, რომლებმაც 2016 წელს სასწაული მოახდინეს და ინგლისის ჩემპიონები გახდნენ. მაშინ გუნდმა „მანჩესტერ სიტი“, მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“, „ჩელსი“, „ტოტენჰემი“ და არსენალი“ მოიტოვა ზურგს უკან, დრინკუოტერი კი, „ლესტერის“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო. საჩემპიონო სეზონის დასრულების შემდეგ, ეს ფეხბურთელი „ჩელსიმ“ 40 მილიონ ევროდ შეიძინა, მერე კი... დენი ლონდონური კლუბიდან, 2020 წელს, „ბარნლიში“ გაანათხოვრეს, მერე – „ასტონ ვილაში“, მერე – თურქულ „ქაზიმფაშაში“, მერე „რედინგში“ და 2022 წელს, მან კარიერაც დაასრულა. ინგლისის ეროვნულ ნაკრებში დრინკუოტერმა 3 მატჩი ჩაატარა.

იმავე წელს, მან ინგლისში ლუდის ბარი იყიდა, რომელშიც დიდი თანხა გადაიხადა, მაგრამ საქმეები კარგად ვერ აეწყო, გაკოტრდა და ფული სხვა ბიზნესში ჩადო, სადაც ასევე არ გაუმართლა, მერე კიდევ სხვა ბიზნესში სცადა ბედი, მერე კიდევ და... მიმდინარე წლის დასაწყისში, დრინკუოტერი მიხვდა, რომ დანაზოგი ამოეწურა და მუშაობა გადაწყვიტა. საბოლოო ჯამში, მან სამსახური მშენებლობაზე იშოვა და ახლა იქ რიგით მუშად შრომობს.

„მე ამის არ მრცხვენია. მთელი ცხოვრება საკუთარი, პატიოსანი შრომით ვშოულობდი ფულს და ახლაც ასეა“, – აცხადებს დრინკუოტერი და როგორ არ უნდა გავიხსენოთ ის, რომ ლეგენდარული მაიკ ტაისონი, ბუღალტრებმა ისე მოატყუეს, რომ 300-მილიონიანი ქონების პატრონი, ახლა რაღაც შოუებში მონაწილეობს, გადასახადების გადახდა რომ მოახერხოს და... ტაისონი ლეგალურად მოყვანილ „მარიხუანასაც“ ჰყიდის.

ხმელი წიფელი

ვაჟა-ფშაველა

ყველას და, მათ შორის მეც, მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარის ყინულისათვის რომ უჯობნია, უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი და შეჰყურებს მზეს, ქვეყანას, იჩქმალება, ინაბება, მაგრამ ნაზს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია:

– გავცოცხლდი, მადლი ჩემს გამჩენსაო, – თითქოს დუდუნებს.

საამურია, გაყინული ხეები გაზაფხულის სითბოთი ზოგნი რომ გაიფოთლებიან და სხვანი აყვავდებიან. მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრება!.. მაგრამ ამჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალწინ მიდგება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი. ისიც უღრანს ტყეში დგას, ერთის კლდის თავზედ. ამ კლდესაც ხავერდივით მწვანე ხავსი გადაჰკვრია.

ხმელს წიფელს სხვა ხეები შორს უდგანან, თითქოს განგებ გაჰშორებიან და ამაყად დასჩერებიან თავზე.

ხმელის წიფლის ახლო რამდენიმე ჟოლოს ფეხია მოსული, შველისა და ირმის ნაკვნეტის ფოთლებით.

ისინი გადმოძაბულან და გადმოსცქერიან დაბლა მდინარეს, მის ფესვებში რამდენიმე ფეხი ძირტკბილა მოდის, ზამთარ-ზაფხულ მწვანე, დაკბილულფოთლებიანი, ხმელს წიფელს წასვლია სიცოცხლის ნიშანწყალი: სამი ტოტიღა შერჩენია შუა წელს ქვევით, ზედა ტანი მოტეხილა და ხევში ჩაჩხატულა, გახიდულა. ამ სამ ტოტში წელიწადში მარტო ერთს გამოუვა ხოლმე სამი თუ ოთხი ფოთოლი, ისიც ფერწასული, დამჭკნარი, გაყვითლებული.

სხვა ხეებს კი, რომ უყუროთ, დატვირთულნი დგანან ბუნების მინიჭებულის სარჩოთი. არაფრად აგდებენ ხმელს წიფელს, ყურადღებას არ აქცევენ. მხოლოდ ზამთრობით, როცა თითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე საპატარძლო ტანისამოსი და, ცოტად თუ ბევრად, დაუახლოვდებიან ხმელს წიფელს, მაშინ თუ შეაცქერდებიან, ისიც გაკვრით...

ეს მოხდება სწორედ მაშინ, როდესაც პირბადრი, სახენათელი, თმაგაშლილი „ადგილის დედა“ ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს. მაშინ შეუბუზღუნებენ ხმელს წიფელს:

„რას გაშტერებულხარ, საწყალო? ყური დაუგდე, რას ამბობსო!“

ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით და არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენარეთ, მაგრამ „ადგილის დედის“ ზღაპარს კი ყურს უგდებს; თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით ესობა გულზე და უჩუმრად ცრემლსა ჰღვრის.

საბრალო წიფელი!

ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს. მთიდამ ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას.

ეხლა კი სულთამბრძოლს დაჰფერებია, წაქცევ-წაქცევაზეა მიმზადული. ტანზე რამდენსამე ადგილს საცოდავს გამხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს. ერთს ალაგას უფრო გრძლად აჰყრია ქერქი და დედამიწისკენ გრძლად გადმოშვერილა; გეგონებათ, ხანჯალი დაუციათ და ნაწლავები გადმოუყრევინებიათო.

ჭიაც ბევრი თუ აქვს ამ წიფელს, რომ რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუდამ კოდალასა ვხედავ.

ეს დასაქცევი ერთთავად ზედ აზის და, რაც ძალი და ღონე აქვს, ურახუნებს იმ გასახმობს, გასავერანებელს ნისკარტს; თან კიდეც დასჭყივის, დაჰკივის, თითქოს ნიშნს უგებსო. აგერ, რამდენს ადგილას ამოუღრუტნია წიფელი გულამდის. საცაა, გულსაც ფქვას დაუწყებს.

წიფელი დგას, დგას შეუშფოთრად, წარბშეუხრელად; არც ავს ამბობს, არც კარგსა. როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ირწევიან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა; წინად კი, როცა იგი ჯანსაღად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით ღელვას; მისი ტოტები და ფოთლები ჭექა-ქუხილივით ხმაურობას ასტეხდნენ. ხმელის წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდენ, ასკდებოდენ. დიაღ, ეხლა ქარს ვეღარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით, ძველებურად, შეუპოვრად გულ-მკერდს ვეღარ უპყრობს ქარიშხალს.

არ მოიდრიკება კი ხმელი წიფელი და, თუ მოსტყდება, იმისი რა ვსთქვათ... მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწვება, ფესვები გამოჩნდებიან, ღამე თავაჭერილები, თითქოს ლოცულობდნენ, ღმერთს ევედრებოდნენ, შველასა სთხოვდენო. ზაფხულობით უფრო შესაბრალისია ხმელი წიფელი. სხვა ხეები მორთულან მწვანის ფოთლებით, უვნებელნი, უდარდელნი; მათზედ ათასი ფრინველი სხდება საგალობლად, ქედნები ღუღუნებენ იმათ ტოტებზე, ქერონა ჩიტი დაჰკრავს დაუსრულებელს გალობას, წიპრია იკლებს სტვენით იმათ არემარეს და მოუსვენრად გადახტ-გადმოხტის; ყელმოღერებული შველი და ირემი იმათ იჩრდილავს.

ეს დაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელს წიფელს, იმისი ეჩოთირებათ და ამბობენ: „ნეტავი, შენ არ გვაუშნოებდეო!“ – არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება და არიან, იპოვებიან ისეთნი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი...

სოფელში დღეში სამჯერ მაინც მოიგონებენ ხმელს წიფელს, – სადა გყვანდათ დღეს საქონელიო? – მამამ რომ ჰკითხოს თავის შვილებს, ისინი უჩვენებენ ხმელის წიფლის მიდამოს, გაღმითს ან გამოღმითს, თავს ან ბოლოს.

– ხმელ წიფლის ძირს, კლდეში, ვეფხი დაბუდებულაო, – ხმა არის სოფელში, – ლეკვები დაუყრიაო. მონადირეებს ენახათ ხმელ წიფლის გარშემო დედა ვეფხისა და იმის ლეკვების კვალიო.

– ეს სააბედე სოკო ხმელს წიფელს ავაჭერო, – ამბობს მეორე.

დიაღ, არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს ჯერ არ დაუვიწყნია ხმელი წიფლის სახელი, კიდევ ახსოვს იმისი სიდიადე.

განა, ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?! ათასს ცოცხალსა ბევრჯელა, ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია. შენის დანახვით, ტიალო, გულს დარდი მაწევს ცხარია, რაკი გხედავ, რო ბეჩავად და უპატრონოდ ხარია, – თითქო დაჰკრესო განგაში, სამგლოვიარო ზარია. მინდა, რომ დიდხანს ნახარში და გულში ნადუღარია, გაგიზიარო ვარამი, მდიოდეს ცრემლის ღვარია. რისთვის მოსულხარ, ბეჩავო, არ იგლოვები მკვდარია?! შენთვის არც წაწყმედა არი, არსად ცხონება არია! ვინ არ შეგიკრავს კუბოსა, ვინ არ აგინთოს სანთელი?.. ვაჰ, რა ძნელია, კვდებოდეს, იკარგებოდეს სახელი!

ღამღამობით, ათასში ერთხელ, ხმელს წიფელზე ბუ შეჯდება და დაკოდილის ხმით მოჰყვება გულმოკლული ძახილს: „ვერ იპოვეო?“ და, როცა ძახილით დაქანცულს შემოესმის: „ვერა, ვერაო“, მოსაწყლებული თავს დაჰკიდებს და „ღრუ, ღრუო“, ხმადაბლა გულს ჩასძახებს. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის, შიმშილისაგან შეწუხებული.

ხმელი წიფელი შეუშფოთრადა სდგას, არც ავს იტყვის, არც კარგს, სდგას გაშტერებული; იმან არც სიბრალული იცის, არც სიმძულვარე; არც სამტროდ აუდუღდება გული, არც სამოკეთოდ; ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; გულში თითქო ღრმად ჩასჭედვია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთ ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესღაა იმისი ნუგეში...

ყველა დროის ლამაზი ქალი დაასახელეს

ყველა დროის ყველაზე ლამაზი ქალების რეიტინგი პორტალმა ListChallenges-მა გამოაქვეყნა. სიის სათავეში მართლაც უმშვენიერესი მონიკა ბელუჩი მოხვდა. იტალიელი მოდელი და მსახიობი, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტებმა მერლინ მონროსა და ჰოლივუდის ვარსკვლავს, ანჯელინა ჯოლის ამჯობინეს. რეიტინგში მეოთხე პოზიცია მე-20 საუკუნის კიდევ ერთმა ვარსკვლავმა, ჯეინ მენსფილდმა დაიკავა. მეხუთე ადგილზე რექუელ უელჩი გავიდა, რომელსაც მაყურებელი ლოანას როლით იცნობს, ფილმიდან – „მილიონი წელი ჩვენს ერამდე“. სულ სიაში 100 მშვენიერი ქალბატონი მოხვდა, მათ შორის, ბრიჯიტ ბარდო, გრეის კელი, ელიზაბეტ ტეილორი და ნატალი პორტმანი.



სიზმარმა მილიონი მოაგებინა

აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატში, პლიმუტში მცხოვრებმა მამაკაცმა, ჰოვარდ კენდალ-უმცროსმა განაცხადა, რომ სიზმარში ნანახმა გარკვეულმა ლატარეის ბილეთმა მას მილიონი დოლარი მოაგებინა. ამერიკელის თქმით, მას ლატარეა Diamonds-ის სკრეტჩ-ბილეთი დაესიზმრა, რომელიც 10 დოლარი ღირს, მოგების მაქსიმალური თანხა კი 4 მილიონ დოლარს შეადგენდა. კენდალმა გადაწყვიტა, სიზმრად ნანახი რეალობად ექცია – დილით წავიდა და მაღაზია 7-Eleven-ში ერთი ბილეთი იყიდა. ის მართლაც მომგებიანი აღმოჩნდა და მამაკაცს, პრიზის სახით, ერთი მილიონი დოლარი მოუტანა. ბილეთის გაყიდვისთვის მაღაზიაც დასაჩუქრდება – ის 10 ათას დოლარს მიიღებს. ლატარეის გამარჯვებულის თქმით, ის მოგებული თანხის შვილებისა და შვილიშვილებისთვის განაწილებას გეგმავს. კენდალმა თანხის ერთბაშად აღება გადაწყვიტა და ამიტომ 650 ათას დოლარს დასჯერდება.

დედოფალს სკუტერი დაეჯახა

დანიის დედოფალი მარია, გრენლანდიაში მოგზაურობისას, სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდა – თაყვანისმცემლებთან ურთიერთობისას, მას მოულოდნელად სკუტერი დაეჯახა. ინციდენტის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა. კადრებზე ჩანს, რომ უამრავი ხალხი სამეფო ოჯახთან შესახვედრად არის გამოსული, ისინი დედოფალს აცილებდნენ. მონარქმა გადაწყვიტა, მათთვის გულისხმიერებით ეპასუხა და მათთან მისასალმებლად მივიდა. თუმცა, მოულოდნელად, მას სკუტერით შუახნის მამაკაცი დაეჯახა და დედოფალი მიწაზე დაეცა, თუმცა საბედნიეროდ, მარია არ დაშავებულა. დაცვა კი მაშინვე მივარდა „დამნაშავეს“, მოგვიანებით გაირკვა, რომ პენსიონერს დედოფლისთვის ხელის ჩამორთმევა სურდა, მაგრამ სკუტერზე ამხედრებულს პედალი აერია და წინ გავარდა. როგორც მან განაცხადა, თავადაც შოკირებულია მომხდარი ინციდენტით.

თანამშრომლების კეთილგანწყობას გააკონტროლებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, სუპერმარკეტების ერთ-ერთმა ქსელმა, თანამშრომლების ღიმილიანობის შესაფასებლად, ხელოვნური ინტელექტის სისტემა დანერგა. ტექნოლოგია Mr Smile-ი 450-ზე მეტ პარამეტრს აანალიზებს, მათ შორის, სახის გამომეტყველებასა და ხმის ტონს, რათა მომსახურების დონე განსაზღვროს. ახალი სისტემა ქსელის რვა მაღაზიაში დანერგეს, რომელმაც 3 500-ზე მეტი თანამშრომელი მოიცვა. სამთვიანი დაკვირვების პერიოდში აღმოჩნდა, რომ მომსახურების ხარისხი თითქმის ორჯერ გაუმჯობესდა.

ინდოელი მუშა უცებ გამდიდრდა

ინდოელი მუშის – რაჯ გაუნდის ბედი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მან უზარმაზარი ალმასი იპოვა მადჰია-პრადეშის ერთ-ერთ მაღაროში. ძვირფასი ქვა, რომელიც 19.22 კარატისაა, სამთავრობო აუქციონზე, დაახლოებით, 96 ათას დოლარად გაიყიდება. გაუნდის თქმით, მას ათ წელზე მეტია, რაც ქალაქ პანასთან ნაქირავები აქვს ეს მაღარო იმ იმედით, რომ ალმასებს იპოვიდა. ეს ადგილი ცნობილია თავისი ძვირფასი მადნეულით. ამიტომ, ადამიანები ხშირად ქირაობენ მთავრობისგან იაფფასიან, არც ისე ღრმა საბადოებს. გაუნდმა ნაპოვნი ქვა ალმასების სამთავრობო სამმართველოში მიიტანა, სადაც ის აწონეს და შეაფასეს. აუქციონის შემდეგ, ინდოელი მამაკაცი თავის კომპენსაციას მიიღებს, სახელმწიფო გადასახადების გამოკლებით. გაუნდი იმედოვნებს, რომ ოჯახისთვის საუკეთესო სახლს ააშენებს და შვილებს სწავლას დაუფინანსებს. ფულს იმ 19 ნათესავსაც გაუნაწილებს, რომლებიც მასთან ცხოვრობენ.

სახლებს სოკოსგან ააშენებენ

აფრიკაში, კერძოდ ნამიბიაში, აპირებენ, რომ საცხოვერებელი სახლების უკმარისობის პრობლემა მათი სოკოსგან აშენებით გადაჭრან. როგორც The Guardian-ი წერს, ქვეყნის მოსახლეობა 2.7 მილიონია, მათგან კი ნახევარ მილიონს ახალი საცხოვრებელი სჭირდება. 2016 წლის მონაცემებით, იქაური ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი, საშუალოდ, 144 დოლარია, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ სახლების ყიდვას. ამ კრიზისის გამო, ყოველი მეხუთე ნამიბიელი, დროებით, თვითნაკეთ ფარდულებში ცხოვრობს, რომლებსაც მუყაოს ნარჩენებისა და თუნუქის ფურცლებისგან აკეთებენ. მკვლევართა ჯგუფის MycoHab ინიციატივაა, რომ მათ სახლები სოსკოსგან აუშენონ. კერძოდ, აპირებენ, რომ მასობრივად მოიყვანონ „კალმახა“ სოკო, შემდეგ ის ფილებად დაპრესონ და მისგან სახლები ააშენონ. აღნიშნავენ, რომ ასეთი ფილები აგურებზე მძიმე იქნება, თუმცა მშენებლობას უფრო სწრაფად შეძლებენ და ხარჯებიც უფრო მცირე იქნება. ამასთან, სოკოს სახლები ცეცხლგამძლეც იქნება, „კალმახას“ დიდი რაოდენობით მოყვანა კი ეკოლოგიასაც გააუმჯობესებს.

ბრიუს სპრინგსტინი მილიარდერია

პოპუარული ამერიკელი როკ-მუსიკოსი, ბრიუს სპრინგსტინი ოფიციალურად გახდა მილიარდერი, – წერს ჟურნალი „ფორბსი“, რომელმაც მისი ქონება 1.1 მილიარდ დოლარად შეაფასა. 74 წლის სპრინგსტინმა ქონების უდიდესი ნაწილი ბოლო წლებში დააგროვა. ეს კი თავისი მუსიკალური კატალოგის კომპანია Sony-თვის მიყიდვის წყალობით მოხდა. ეს გარიგება 2021 წელს შედგა და ღირებულებამ ნახევარი მილიარდი დოლარი შეადგინა. ამჟამად, მუსიკოსი მსოფლიო საკონცერტო ტურნეშია, რომელიც მომავალ წელსაც გაგრძელდება. Pollstar-ის ინფორმაციით, 2023 წელს, სპრინგსტინმა კონცერტებზე 1.6 მილიონ ბილეთზე მეტი გაყიდა, რითაც 380 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო. მრავალწლიანი მუსიკალური კარიერის განმავლობაში, მას 140 მილიონი ალბომი აქვს გაყიდული და ის ყველა დროის ერთ-ერთი, ყველაზე გაყიდვადი მუსიკოსია. მუსიკალური ინდუსტრიიდან მილიარდერები არიან, ასევე, რიანა, ჯეი-ზი და ტეილორ სვიფტი.

ახალი მასალა – ორგანოების დასაბეჭდად

ამერიკელმა სწავლულებმა, ვირჯინიის უნივერსიტეტიდან, შეიმუშავეს მასალები, რომლებიც შესაძლოა, გადასანერგი ბიოიმპლანტების დაბეჭდვის საფუძველი გახდეს. მკვლევარებმა შექმნეს ბიობეჭდვის მეთოდი, რომელსაც სფერული ნაწილაკების ციფრული შეკრება უწოდეს. ამ მეთოდის დროს, ბიომასალის ფრაგმენტებს ანთავსებენ მის მხარდამჭერ მატრიცაში, სამგანზომილებიანი სტრუქტურის შესაქმნელად. ამ სტრუქტურებს „ვოქსელები“ უწოდეს. ნაწილაკები კი პოლიმერული ჰიდროგელია, რომელიც ადამიანის ქსოვილის იმიტაციას ახდენს. მის შიგნით, ადამიანის ცოცხალი უჯრედებია. სიახლის ავტორების თქმით, მათი ჰიდროგელის ბიომელანი ნაკლებად ტოქსიკურია და უფრო ბიოთავსებადია უჯრედებთან, მის ანალოგებთან შედარებით. სწავლულები იმედოვნებენ, რომ მასალა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმპლანტაციისთვის განკუთვნილ ბიობეჭდვაში.

სამეფო ტიტული თხას მიანიჭეს

დიდი ბრიტანეთის მონარქმა კარლ III-მ, სამეფო ტიტული მიანიჭა იშვიათი ჯიშის თხას. ტიტული გავრცელდება ამ ჯიშის ყველა ცხოველზე, მთელ მსოფლიოში. მათ სამეფო ოქროს გერნსის თხის წოდება ექნებათ. თხების ჯიში, რომელიც წარმოშობით კუნძულ გერნსის უკავშირდება, მონარქმა ლა-მანშის სრუტეში მდებარე კუნძულზე ვიზიტის დროს მოინახულა. თხების ეს ჯიში საკმაოდ იშვიათია, გამოირჩევა თვინიერებით და ასევე, კარგ რძეს იძლევა.

გრიპის უნივერსალური ვაქცინა შექმნეს

ამერიკელმა ბიოლოგებმა, ორეგონის უნივერსიტეტიდან, გრიპის საწინააღმდეგო უნივერსალური ვაქცინის პროტოტიპი შექმნეს, ციტომეგალოვირუსის ბაზაზე, რომელიც პაციენტს, ფაქტობრივად, გრიპის ყველა ვარიაციისგან იცავს. ის წარმატებით გამოსცადეს მაიმუნებზე. „ჩვენმა ვაქცინამ, რომელიც „ესპანკას“ ბაზაზე შეიქმნა, წარმატებით დაიცვა მაიმუნები გრიპის თანამედროვე შტამებისგან. ეს იმის წყალობით მოხდა, რომ გრიპის ვირუსის შიდა ცილების სტრუქტურა ასწლიანი ევოლუციის შემდეგაც არ შეცვლილა. ვიმედოვნებთ, რომ ხუთ-ათ წელიწადში, უკვე ნამდვილად გვექნება უნივერსალური ვაქცინა, ყველანაირი გრიპის წინააღმდეგ“, – განაცხადა მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ჯონ საშამ. შემუშავებული ვაქცინა მოდიფიცირებული ვერსიაა ციტომეგალოვირუსისა, რომლის მატარებელიც დედამიწის მოსახლეობის თითქმის 60%-ია. ეს პათოგენი არ იწვევს ინფიცირების ხილულ სიმპტომებს, თუმცა შეძენილი იმუნიტეტის მხრიდან რეაქცია ძალიან აქტიურია, რითაც ისარგებლეს კიდეც სწავლულებმა, გრიპის ვაქცინის შექმნისას.

უქმეებზე სიკვდილი აკრძალეს

საფრანგეთში მდებარე კომუნა გრელის მცხოვრებლებს უქმეებსა და დღესასწაულებზე სიკვდილი აუკრძალეს. ამის თაობაზე ფრანგული მედია წერს. მათი ინფორმაციით, შესაბამის განკარგულებას ხელი კომუნის მერმა მოაწერა. ასეთი გადაწყვეტილება კი მას შემდეგ მიიღო, რაც რამდენიმე დღის წინ, სოფლის ერთ-ერთი მცხოვრები გარდაიცვალა და სიკვდილის დასადასტურებლად სპეციალისტი ვერ იპოვეს. მკურნალ ექიმს დასვენების დღე ჰქონდა, სასწრაფო დახმარება კი სხვა კომუნის დაქვემდებარებაშია, სადაც ექიმების დეფიციტია. კომუნის მერმა, საკუთარი გადაწყვეტილებით, სწორედ ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება სცადა.

მაღაზიაში ყავის დასალევად მიდიან

სუპერმარკეტში წასვლა ბევრი ადამიანისთვის, ალბათ, მოსაწყენი რუტინაა, თუმცა ნიდერლანდების ქალაქ ვლეიმენში მცხოვრები ხანდაზმული ადამიანებისთვის ეს ნამდვილი მოვლენაა. მაღაზიაში ისინი არა მხოლოდ პროდუქტებისთვის, არამედ, ცოცხალი ურთიერთობისთვისაც მიდიან. სუპერმარკეტში სპეციალური მაგიდები დადგეს, სადაც თანამშრომლები ესაუბრებიან ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს, თან ფინჯან ყავასაც სთავაზობენ. სერვისი ცოტა ხნის წინ ამოქმედდა, თუმცა მასზე უკვე არნახული მოთხოვნაა. საუბრის გაბმის მსურველები, ძირითადად, მოხუცები არიან, თუმცა არიან კლიენტები, რომლებსაც საყიდლებზე სიარულისას, მცრე ხნით შესვენება სურთ. „ყავის კუთხის“ გარდა, სუპერმარკეტში სპეციალური სალაროც გახსნეს და მოლარე მზად არის, მყიდველებს იმდენ ხანს ესაუბროს, რამდენსაც მოისურვებენ. როგორც სუპერმარკეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, თუ ასეთი სერვისები მომავალშიც პოპულარული იქნება, მომავალი წლიდან, მსგავს პროგრამებს ქსელის კიდევ 60 მაღაზიაში აამოქმედებენ.

ქალებს ვარდისფერი პატრული იცავს

ვარდისფერი ჩაფხუტები და თეთრ-ვარდისფერი სკუტერები – ასეთი პატრული ნამდვილად არ დარჩება შეუმჩნეველი. 16 ქალი-პოლიციელისგან შემდგარი ქვედანაყოფი ინდოეთში, დელის ქუჩებს აკონტროლებს. ქალთა პატრულის ამოცანა ქალების, გოგონებისა და სკოლის მოსწავლეების დაცვაა. ვარდისფერ სკუტერებზე ამხედრებული პატრული დელის ქუჩებში დილის 11.00-დან 13.00 საათამდე და საღამოს, 17.00-დან 19.00 საათამდე მოძრაობს. ინდოეთის დედაალაქში 26 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. აქედან ნახევარი სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან. ამასთან, დელიში ყველაზე მაღალია მშვენიერი სქესის მიმართ ჩადენილი დანაშაულები. ვარდისფერი პატრული ეკიპირებულია ვიდეო-რეგისტრატორებით და წიწაკის დეოდორანტებით. დიდი საფრთხის შემთხვევაში კი, ისინი მამაკაც-პატრულს გამოიძახებენ.

დაგვიანებულ სასიძოს პატარძალი გაუთხოვდა

ინდოეთის ქალაქ ბიჯნორში, სასიძოს საკუთარ ქორწილში დააგვიანდა, პატარძალი კი სხვას მისთხოვდა. ამ ინციდენტის შესახებ ადგილობრივი პრესა წერს. ცნობილია, რომ წყვილმა ერთი თვით ადრე, არაოფიციალური ქორწილი გადაიხადა მშობლიურ სოფელში, თუმცა პატარძალი ქმრის ოჯახში არ დარჩა საცხოვრებლად, რადგან საქორწინო ცერემონიის ჩატარება სურდათ. ახალგაზრდების ოჯახებს შორის უთანხმოება იყო მზითევთან დაკავშირებით. ქორწილის დღეს, ქალის ნათესავებმა საქმროს ახლობლები სცემეს და ოთახში გამოკეტეს, საქმე პოლიციის გამოძახებამდე მივიდა, თუმცა მოგვიანებით, მხარეები შერიგდნენ. კონფლიქტის ბოლო წვეთი კი ცერემონიაზე სასიძოს დაგვიანება გახდა – ლოდინით დაღლილმა პატარძალმა ქორწინება გააუქმა და სოფლის უხუცესების თანდასწრებით, სხვა კაცზე გათხოვდა.

დღეში ორი ვაშლი გულს შველის

ორგანიზმი რომ გულის დაავადებებისგან დაიცვათ და ქოლესტერინის დონე შეიმციროთ, ამისთვის დღეში ორი ვაშლი უნდა მიირთვათ, – ასეთ დასკვნებს რედინგის უნივერსიტეტის მეცნიერები აკეთებენ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ვაშლი მდიდარია უჯრედისით და სხვა ნაერთებით, რომლებიც აუმჯობესებენ სისხლძარღვების ფუნქციას და აქვეითებენ ცუდი ქოლესტერინის დონეს. მკვლევარებმა ექსპერიმენტი საშუალო ასაკის 40 მოხალისეზე ჩაატარეს – მათი ნახევარი, ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად ორ ვაშლს მიირთმევდა, მეორე ნახევარი კი ვაშლის წვენს სვამდა. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფში, რომელიც ვაშლს ჭამდა, მოხალისეებს მნიშვნელოვნად შემცირდათ ქოლესტერინის დონე და გულის ჯანმრთელობის მდგომარეობაც არსებითად გაუუმჯობესდათ.

ხელოვნური ვიტამინები სოცოცხლისთვის საშიშია

დანიელმა სწავლულებმა, კოპენჰაგენის საუნივერსიტეტო კლინიკიდან, ფართო კვლევა ჩაატარეს. მისი მიზანი იყო გაერკვიათ, რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე ხელოვნური ვიტამინები და ბილოგიურად აქტიური დანამატები (ბად). შედეგად, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქიმიურ დანამატებს არ შეუძლიათ, სრულად ჩაენაცვლონ ვიტამინების ნატურალურ წყაროებს და შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობა სერიოზულადაც დაზიანონ. სწავლულების თქმით, ორგანიზმი სინთეტიკური ვიტამინების დიდ ნაწილს არ ითვისებს და აგროვებს, რის გამოც, ეს „დალექილი“ ქიმია არღვევს კუჭ-ნაწლავის მუშაობას და შეიძლება, სერიოზული დაავადებების განვითარების მიზეზიც კი გახდეს. მკვლევარების ამბობენ, რომ ადამიანები, რომლებიც რეგულარულად იღებენ სინთეტიკურ „ა“ და „ე“ ვიტამინებს, ნაადრევი სიკვდილის გაცილებით დიდი რისკი აქვთ, ვიდრე მათ, რომლებიც თავს არიდებენ ხელოვნურ ვიტამინებსა და ბად-ებს. მაგალითად, „ა“-ვიტამინი 16%-ით აჩქარებს სიკვდილს, ბეტა-კაროტინი – 7%-ით, „ე“-ვიტამინი კი – 4%-ით.

რესტორანში ყველის კონვეირი მოქმედებს

მოფლიოში პირველი რესტორანი, რომელიც ყველის კონვეირით არის აღჭურვილი, ამ საყვარელი პროდუქტის 25 სახეობას სთავაზობს კლიენტებს. ყველისა და ღვინის მოყვარულებმა უკვე „შტურმი მიიტანეს“ დაწესებულებაზე Pick & Cheese, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქის ცენტრში, კოვენტ-გარდენზე გაიხსნა. გურმანების მიზიდულობა 40-მეტრიანმა კონვეირულმა ლენტამ გამოიწვია – მის წინ მოკალათებული და მენიუთი შეიარაღებული ადამიანი ირჩევს სწორედ იმას, რაც ძალიან უყვარს. ყველი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოაქვთ და ამ დელიკატესს სანელებლებით აზავებენ. რესტორანს ღვინის განსაკუთრებული მენიუც აქვს – მასში ის სასმელია შესული, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის ამა თუ იმ სახეობის ყველს.

რომელი პროდუქტები იწვევენ უძილობას

შესაძლოა, ძილის სურვილი გაგიქრეთ, თუკი თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ, – განაცხადეს სწავლულებმა, კოლუმბიის უნივერიტეტიდან. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების რეგულარული მოხმარება, მაგალითად, ნაცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის, სისხლში შაქრის დონის მომატებას იწვევენ. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოჰყოფს. შედეგად, შაქრის დონის დაქვეითებამ, შეიძლება, ჰორმონების გამოტყორცნა გამოიწვიოს, როგორებიც არიან კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილის დარღვევას იწვევენ. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50-ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ კვლევების შედეგები მედიკოსებს დაეხმარება, ხელმისაწვდომი და ეფექტური მეთოდები მოძებნონ, პაციენტების უძილობისგან განსაკურნავად.

მობილურზე დამოკიდებულებას უმკურნალებენ

იტალიის ხელისუფლება აპირებს, სმარტფონებზე დამოკიდებული მოზარდები რეაბილიტაციის ცენტრებში მოათავსოს. ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ აპენინებზე უკვე საკმაოდ გავრცელდა ნომოფობია ანუ მობილური ტელეფონის არქონის შიში. ქვეყანაში ჩატარებული სპეციალური გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ ათიდან რვა იტალიელი ბავშვი მობილური ტელეფონის დაკარგვისა და ინტერნეტის შეზღუდვის შიშით ცხოვრობს. ისინი საკუთარ სმარტფონებს დღეში, სულ ცოტა, 75-ჯერ ამოწმებენ, ხოლო 62%-ს ღამის საათებშიც აქვს მისი მეშვეობით მიმოწერა. ეს ყველაფერი კი იწვევს ქრონიკულ დაღლილობას და ზოგჯერ აგრესიულობასაც. გარდა ამისა, მოზარდები ჩამორჩებიან სწავლაში და ქვეითდება ყურადღების კონცენტრაციის დონე. სმარტფონზე დამოკიდებული ბავშვებს, სავარაუდოდ, სახელმწიფოს ხარჯით უმკურნალებენ. სარეაბილიტაციო ცენტრში მოზარდების გადაყვანის გდაწყვეტილებას მშობლებთან ერთად მიიღებენ. ამის პარალელურად, მასწავლებლები ბავშვებში დამოკიდებულების პროფილაქტიკისა და აღმოფხვრის შემსწავლელ სპეციალურ კურსებს გაივლიან. ხელისუფლება შესაბამის საინფორმაციო კამპანიას მშობლებისთვისაც ამზადებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.